

ივერია



ქართული ეროვნული პოლიტიკის ოჯახის
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„IVERIA“

Directeur E. PATARIDZE.

სარედაქციო კოლეგია.

დ ე ქ ე მ მ ბ ი რ ი

№ 2

DECEMBRE

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- | | |
|---|-------------------|
| 1. ეროვნული ცენტრი | მეთაური |
| 2. საქართველო აშლილ მსოფლიოს წინაშე | აღ. ასათიანი |
| 3. ომი და საქართველო | ს. ჭირაქაძე |
| 4. ეკლესია და საბელმწიფო | რ. ინგილო |
| 5. ბოლოს დასაწყისი | ვ. ნა - ლი |
| 6. „კომ. მანიფესტი“ და საერთაშორისო
ტრადიცია | ვ. შუბლაძე |
| 7. პარიზის ქართული ეკლესია | ე. პ. |
| 8. ქართული ხელოვნები უცხოეთში | ლ. ნ. |
| 9. სიტყვა აჯანყების 25 წლის თავზე | ელ. პატარიძე |
| 10. რა კაცია — ლექსი | დ. ქიქრიძე |
| 11. ჩემი სამშობლო — ლექსი | ევ. აბულაძე |
| 12. 28 აგვისტო — ლექსი | პეტრე ფარცხაშვილი |
| 13. მოწოდება ქართველ ახალგაზრდობისადმი | ფ. ფ. |
| 14. ცნობები ემიგრანტულ ცხოვრებიდან | ფ. ფ. |

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

პარიზი — PARIS

1949





ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„I V E R I A“

Directeur E. PATARIDZE. ხარედაქციო კოლეგია.

დამკვეთი 1949

№ 2

Decembre 1949

ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ბ რ ი

„— ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, სამშობლოში დაბრუნებამდე მხოლოდ ერთი საერთო საქმე აქვთ: — ქართველი ერის უფლებათა დაცვა და მისი თავისუფლების მოპოებისათვის გზების ძიება. აქედან იბადება მათი მჭიდრო და ორგანიზებული ერთობის აუცილებლობა“.

„ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციის წინ გადაუდებელი მოვალეობა სდგას: პარტიული და უპარტიოთა — ცოცხალი ძალების ერთხლოვნებისა და მთლიანობის ნადავგზე ეროვნული ცენტრისა და მეთაურობის შექმნა“. — ესწერდით ჩვენ „ივერი“-ის მამის გამოცემაში.

28 აგვისტოს ეროვნულ აჯანყების 25-ი წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში, ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა კვლავ საზი გაუსვა და გადაუღებელ საქმეთ დაუსახა ქართულ ემიგრაციას ეროვნული ცენტრისა და პოლიტიკური მეთაურობის შექმნა.

ერ. - დემოკრატიული პარტიის ზეკლასიური და ეროვნული მთლიანობის დედა-იდებებიდან, ბუნებრივად გამომდინარეობს, ეროვნულ ძალთა მთლიანობის ღრმა შეგნება და მისი განხორციელებისათვის მუდმივი ზრუნვა. ეროვნულ ძალთა დაქაქულობასა და დაშლილობას ვერ ითმენს, ვერ იგუება ჩვენი ბუნება და ხასიათი, ჩვენი სული და შეგნება.

სხვა წრეებშიაც ფეხი მოიდგა ამ იზრმა და საგანგებოდ მოწვეულ 7 ნოემბრის პარიზის კოლონიის პოლიტიკურ წრეთა თათბირმა აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ამ დაგვიანებული საქმის მოვლა-მოგვიარება.

0-538


ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოვლენებით მეტათ დატვირთული ათი წელიწადია, რაც ამ დღეს ქართულ ემიგრაციაში, ფორმალურადაც კი აღარა ჰყავს ეროვნული ცენტრი და პოლიტიკური ერთობლივი მეთაურობა. მსოფლიო დიდი ომის დაწყების პირველ დღეებშივე ჩაიფხა და დაიშალა ის ეროვნული ცენტრი, რომელიც არასოდეს ყოფილა ქართულ პოლიტიკურ რკალურ და ცოცხალ ძალთა სრულყოფილი ერთობის გამოსახულება, თვითპატრონი და სუვერენი.

მას წარმოშობიდანვე თანდაჰყვა ის განუკურნებელი პოლიტიკური სენი, რომელიც ზელს უშლიდა მის სრულყოფასა და სუვერენობას და რომელმაც საბოლოოთ იმსხვერპლა იგი. თვით ფაქტურა რომ ის ეროვნული ცენტრი უხმოთ გაიპარა ჩვენი თავისუფლებებისათვის ბრძოლის უმძიმეს დღეს ომის ეპოქის დასაწყისში, გვანათავისუფლებს ახალი ცენტრის—ძველ საფუძვლებზედა, ძველი მეთოდითა და წყობით და ძველისავე მეთაურობით აღდგენის სახიფათო და უშედეგო ცდებისაგან. შემცდარა იყო და შემცდარია (იმის შემდეგ, რაც ქართულ ემიგრაციაში უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხდა) ის აზრი, თითქოს ემიგრაციის ერთი ვიწრო წრე ან რომელიმე უწყება იყოს აღქმული სრული ეროვნული მანდატით, ატარებდეს სრულის ღირსებით ერის სუვერენულ ფუნქციებს. ამგვარად მოაზროვნეს მეტად ზერცხვით და ბარტივით ესმის ერი, მისი სუვერენობა და უკანასკნელის წარმოშობის წყაროც. ის თითქოს და კენჭს მეტ ანგარიშს უწყევს და მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვინც მთელი ერის ბრძოლას, თავდადებასა და მისი სუვერენობისათვის დადგრილ ზღვა სისხლს.

იმას ისეც ავიწყდება, რომ სუვერენობის გამომსახველი საკანონმდებლო და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ტაშის ცემით, გზადლოცვილი და ეროვნული მზითვებით გაისტუმრა სუვერენობა აყრილ საქართველოში იმ წრემ, რომელსაც იმ უწყებიდან მიღებულ მანდატით მოაქვს თავი.

ქართული ემიგრაცია სამშობლოს საზღვრებიდან სამჯერ ვდამოხეტქილ წყაროდან წარმოიშვა: 1921 წელს დაპყრობილი საქართველოს მთაწრობა გამოვიდა; მას გამოჰყვა სახელმწიფო უწყებათა მოხელენი. ამავე დროს დასტოვა სამშობლოს საზღვრები ერის თავისუფლებისათვის უსწორო ბრძოლებში დამარცხებულმა ქართველმა ჯარის მეთაურობამ და მებრძოლი ქართველობის ნიმუშად ქვეყნმა იღწკრობამ. უკანასკნელი, იფრების სახელმწიფოთა მამხედრო სკოლებსა და სამსახურში ცოდნა და გამოკდილება შეძენილი, ღირსეულად წარმოადგენს ქართულ მხედრობას.

1924 წელს ემიგრაციას აგვისტოს ისტორიული აჯანყებიდან გამოსულნი შემოემთხნენ მათი მეთაურობით. ამ ტალღამ ემიგრაცია მასორად, აქტიურად და მებრძოლად აქცია. მათ მიერ გამოტანილი მან-



დატი თავდადებული ბრძოლებითა დაზღვეა სისხლით არის დამოწმებული და დადასტურებული. მათ ვერავენ შეეცალება საქართველოს თავისუფლების ძიების უფლებებში.

უკანასკნელ დიდ ომში რუსეთის მიერ ჯარში გაწვეულ ქართველობის დიდმა უმრავლესობამ სამშობლოს თავისუფლებისათვის მტერს იარაღი შეუბრუნა, მხარში ამოგვიდგა და თავგანწირულად იბრძოლა. მტრის ხელთაგან გადარჩენილი მნიშვნელოვანი ნაწილი მისი შობებელ ქრის ემიგრაციას შემოუერთდა, ჩვენსავე ღირსებითა და ჩვენი-სავე უფლებით.

აი ქართული ემიგრაციის წარმოშობა, შემადგენლობა და მეობა. მისი წარმოშობის მიზეზი ერისა და სამშობლოს თავისუფლების დაკარგვაა. მისი არსებობის ერთად - ერთა მიზანი ამ თავისუფლების მოპოვებაა. აქედან გამომდინარეობს ეროვნული თავისუფლებისათვის წარმოებულ საქმიანობაში ყოველ ქართველი ემიგრანტის სრულფასოვანი ბიანობა და სწორუფლებიანობა, მისი პირადად მეტი თუ ნაკლები პასუხისმგებლობით. თავისუფლება - აყრილი ერის ემიგრაცია მთლიანად ეროვნული უფლებებისა და სუვერენობის გამომსახველი და მატარებელი.

ემიგრაციაში არსებობს რამოდენიმე ძველი პოლიტიკური პარტია; ესენი ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს პარტიები ჩაუდგნენ დაპყრობილ ერს ფაქულად სათავეში და ხელმძღვანელობდნენ ეროვნულ მოძრაობას, აჯანყებებს და შეთქმულებებს. ეს პოლიტიკური პარტიებია, რომ ემიგრაციაში ერთად თუ ცალ - ცალკე დღემდე იწარმოებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მათი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულადაა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი პასუხისმგებლობაც დიდია ქართველ ხალხის მიმართ. ეროვნული ცენტრი მათ ურთიერთ შეთანხმებებს და მათ ძალეებს უნდა ემყარებოდეს უმთავრესად. ამასვე დროს არ უნდა დაევიწყოთ ემიგრაციაში შექმნილი სინამდვილე: ყოფილ „იუნკერთა“ კავშირის სახით არსებობს ქართველ მხედართა წრე. მხედრობას დიდი როლი უთამაშნია ყოველ ერის თავისუფლების ძიების ისტორიაში. მისი როლი მნიშვნელოვანია. ჩვენს ეროვნულ მოძრაობაშიდაც. ეს მებრძოლი ძალა მისი წონისა და ღირსებისდამიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ცენტრში.

ემიგრაციაში წარმოიშვა ახალი ეროვნული მიმართულებანი და ორგანიზაციები, რომელთა მიზანია ერის თავისუფლება, რომელნიც მოქმედებენ და იბრძვიან ამ მიზნისათვის. ეს ახალი ძალები უსათუოდ ანგარიშგასაწევი და მათი ჩაბმა ეროვნულ - პოლიტიკურ ფართიანებული ცენტრში საქაროა და საქმისათვის მეტად სასარგებლოც.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. მსოფლიოს თითქმის

ყოველ სახელმწიფოს და საერთოთ შიგნით — საერთაშორისო პოლიტიკას სათავეში უდგია და განაგებს ახალი თაობა. ამ მხრივ ჩვენც უნდა მოვახდინოთ საქართველოს ცვლილებები და მომავალ ეროვნულ ცენტრის კარები ვახსნათ ახალთაობის წარმოშადგენელი.

ეროვნულ ცენტრის შექმნა შეიძლება გააძნელოს ერთმა გარემოებამ. ემიგრაციაში არის მნიშვნელოვანი წრე სოციალისტებისა, რომელიც არ აზიარებს ნაწილობრივ ემიგრაციის პოლიტიკური წრეების დიდი უმრავლესობის ეროვნულ ბრძოლის მეთოდებს. ვინაიდან მათი მიზანიც ერთი თავისუფლებაა და სუვერენობა (სხვაგვარი აზრი და გამართლება არ აქვს ემიგრაციაში მათ ყოფნას) ჩვენსა და მათ შორისაც უნდა მოხდეს ურთიერთის გაგება და დაახლოება. ამას მოითხოვს გონიერი და ზომიერი ეროვნული პოლიტიკა და ქართულ ძალთა მთლიანობის სრულყოფა.

ეროვნული ცენტრი უნდა შეიქმნას ზემოდაღწეულ პოლიტიკურ პარტიათა და ეროვნულ ორგანიზაციათა შორის ურთიერთ გაგების, შეთანხმების და პატივისცემის ნიადაგზე.

ეროვნული ცენტრი უნდა გახდეს სრულუფლებიანი პატრონი და ხელმძღვანელი ქართულ ეროვნულ მოძრაობის. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული. მხოლოდ ასეთი ეროვნული ცენტრი შეეფერება ჩვენს მდგომარეობას და პირნათლად შეასრულებს და შეგვასრულებინებს ჩვენ ეროვნულ მოვალეობას.

საქართველო ახლილ მსოფლიოს წინაშე

ქირსა შინა გამავსება

ისე უნდა ვით ქვეით - ქირსა.

შ. რუსთაველი

საქართველო ამ ზომად აშლილსა და აფორიაქებულს მსოფლიოში, ქართველი ერი შიშვე მონობის უღლის ქვეშ მგმინავი, მისი შეურთველობა და თავგანწირული ბრძოლა, აურაცხელი მსხვერპლი, აურაცხელი ზარალი — რას წარმოადგენს ყოველივე ეს ამ ბუნებრივ მოვლენებში? რა იხსნის მას, რა გადააჩენს, ვის მისწვდება მისი ხმა, მისი გოდება, ვინ გაიგონებს, და თუ გაიგონა, ვინ რად ჩააგდება, ვინ რა ანგარიშს გაუწევს?..

ოთქოს ყოველივე გეარწმუნებს, ყოველივე გვიშტაკიკებს და გვაჯერებს, რომ საქართველოს ბედისწერა უდაწყვეტალია; უმაგალითო

ტანჯვა - ვაგებით, სისხლითა და ოფლით ნაგები ეროვნული ძრებობა დასრულებულია, და ქართველ ერსაც დაუდგა დღეს ის ეამი განწირულებისა, რომელიც მრავალ სხვა ერს შეუყრია ისტორიის გზაზედ.

ხალხთა ცხოვრების დამრღვევი ძალა, ამჟამიდან მიიღოს მსოფლიოს რომ ევლინება, როგორც მრისხანე საფრთხე და საშიშროება, განსაკუთრებულს სისასტიკით დაატყდა ჩვენს ერს. დაუღწეა მას ეროვნული სუფთაობა, პოლიტიკური და სოციალური წყობა, ეკონომიური ძრებობის საფუძვლები და თვით ოჯახი, ცკლესია, ეროვნული ცხოვრების ზნე და წესი...

ერისისხლიდან დაიკალა, შემციოდა რიცხვობრივად, დაძლიერდა ქონებრივად, სულიერად, და ზნეობრივად, და ამ საშინელი წამების ხანაში მას არსიდან უხილავს რაიმე დახმარება და მიშველება, თვინიერ ცარიელი თანაგრძობისა და გამხნეებისა.

თავის მრავალ - საუკუნოვან, და ქვეყნითად უმგალითო წარსულში ქართველ ერს არა ერთხელ უხილავს ისეთი განსაცდელი, რომლის შემდეგ, ჩვეულებრივი საზომისა და ანჯარიშის მიხედვით, უნდა დასრულებულიყო მისი ძრებობა, ჩხოვრც ერისა.

ხალხთა დიდი მოძრაობანი, ცეცხლითა და მახვილით შესყვანი იშვიათად ასცდებოდენ საქართველო - კავკასიონს, ამ ზღსა და მიჯნას, აღმოსავლეთ - დასავლეთისა საზღრეთისა და ჩრდილოეთისა. გვიხილავს შემოსევათა კერძოთაყვანისმცემელთა, მრავალმფრთხიანთა და ერთმფრთხიანთა, ბუდას, შუამედის და ქრისტეს თაყვანისმცემელთა; მრავალ ხალხთა და ტომებთა - სკიითებისა და სპარსელებისა, ბერძენთა და რომაელთა, არაბთა, მონღოლთა, თურქთა და ირუსთა. საუკუნეთა დენაში მრავალჯერ გვიგვამია წაჭყვევისა და დაქცევის ღიმწარე და ასევე აღდგენისა და აღორძინების სიხარული და ზეიმი. დიდი და მტკიცედ აგებულსა სახელმწიფოც გვექონია, რომელსაც იმ ეპოქაში ორიოდ სხვა სახელმწიფო თუ შეედრებოდა მთელი მსოფლიოს სიჭრტეზზედ. მრავალჯერ დავსუსტებულვართ, დაძლიერებულვართ, ზოლო ჩვენს ეროვნულს არსში ყოველთვის აღმოჩენილა კვლავ აღდგომისათვის საჭირო ძალა. ერი იბრუნებდა დაკარგულ თავისუფლებას, შემციოებულს მოსახლესა მრავლდებოდა, დანგრეული ქვეყანა შენდებოდა, დოვლათი კვლავ გროვდებოდა, მიმქალბი სულიერა შემოქმედება იღვიძებდა და აყვავებდა იწყებდა. საქართველოს ისტორიის მანძილზე მრავალი დიდი იმპერია დამსხვრეტულა და დაშლილა, მრავალ ერს ეროვნული სახე დაუკარგავს. ქართველმა ერმა შესძლო ამ აღრაცებულ ისტორიულ ქართველთა გადატანა, ოცი საუკუნის მანძილზე განუწყვეტელი სახელმწიფოებრივი არსებობის და ეროვნულ მეობის შენახვა და შენარჩუნება.

ჩა იყო ის ძალა, რომლის მეოხებით ქართველმა ერმა დასძლია და

გადაატანა ეს აურაცხელი ვაება და განსაცდელი? რიცხვი, სივრცე, ჭონბრივი ძლიერება? ყოველივე ეს მას ზშირად ლალატობდა მუდმივ რბევა - ელექტის გამო. ქართული ერის სტლიერი ძალა, მისი ბუნება და ხასიათი, უაღრესო მამულიშვილური გრძობა, სიმტკიცე, მზნეობა და ვაქაცობა, ეროვნული და პიროვნული ღირსებას შეგნება, ეროვნული და პიროვნული თავისუფლება, რჯულისა და ოჯახის სიმტკიცე, მტერთან მტრობა და მოყვარესთან უტებო მეგობრობა და ერთგულობა, და მრავალი სხვა, ჩვენთვისაც შეუცნობი ღირსება და ზნე ჰქმნიდენ იმ ძლიერებას, რომლის წყალობით ჩენი ერი გაუმჟავდა ყოველ განსაცდელს. დიდი ილია მხატრულ სატყვეებით გამოსახავს საქართველოს წარსულის ამ საიდუმლოებას:

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნისთვალად დაბადებულო,

რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია...

ჯვარცმულს ლეთისთვის თეით ჯვარცმულო და წამებულო,

ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?

სხვა რომელია, რომ ათას წელთა ბრძოლა მედგარი

გამოცვლოს და სრულიად მტერად არ აღგვილიყოს?

შენ ხარ, მარტო შენ... მაგალითი სხვა არსად არი,

რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეს შესძლებიყოს!“

და რაც მრავალჯერ შესძლებია ქართველ ერს თავის წარსულში, ის მას კვლავ შესძლებს. ქართველი ასეთს რწმენას, ასეთს იმედს ატარებდა თავის გულში. ის მუდამ გამართლებულია, ის კვლავ განმარტლდება.

**

საუკუნეთა დენაში ქართველ ერს განუცდია მრავალნაირი ცვალებადობა შინაურ ცხოვრებისა, საგარეო მოკულობის და მტერ-მოყვარისა. ხოლო თითქმის უცვლელი რჩებოდენ მისი სხვა ერებთან დამოკიდებულების წესები, მათგან თავდაცვის თუ მათთან მეგობრობის ხასიათი და ბუნება. ყველა ეს პირობები მტერ-მოყვრული ურთიერთობისა საფუძვლიანათ შეცვლილი აღმოჩნდენ იმ ეპოქებში, როდესაც მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი წაქცევა მე-18-19 სუკუნეების მიჯნაზედ, შემდეგ მისი აღდგენა 1918 წლის 26 მაისს და კვლავ დაცემა 1921 წლის გაზაფხულს.

მეფე ერეკლეს „ქართლის ცხოვრების“ აურაცხელ მაგალითების მიხედვით ჰქონდა მოფიქრებელი და მოზომილი რუსეთის იმპერიის მფარველობის მოპოებისათვის წარმოებული პოლიტიკა. მისი ფიქრით მფარულ მეგობრად მოწვეული ერთმონწმუნე რუსეთი უფრო სასტიკად არ მოექცეოდა საქართველოს, ვიდრე წინეთ, ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილი მტრები.

1918 წ. აღდგენილ საქართველოს სოციალისტური მეთაურობის პოლიტიკური ანგარიშიც არ გამართლდა. ის გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ კომუნისტური რუსეთი და სოციალისტური საქართველო ერთი რევოლუციის ნაყოფი იყვნენ, მათი პოლიტიკა ერთი იდეოლოგიური წყაროდან გამომდინარეობდნენ და მათი მეთაურობაც ერთს ადვილ ოჯახს ეკუთვნოდა. როგორც ერთნი ისე მეორენი ამყობდნენ იმით, რომ აშენებდნენ ისეთ სახელმწიფოს, რომლის მსგავსა არც ერთს ქვეყანაში არასოდეს არ აშენებულა. ასეთი ოცნებით გატაცებული სოციალისტური მეთაურობა, რასაკვირველია ვერ მოაქცევდა ჯეროვან ყურადღებას სახელმწიფო მშენებლობის ყველგან და ყოველთვის არსებულ საჭიროებებს და, კერძოდ, შეიარაღებულ ძალის შექმნას. ამან გადასწყვიტა საქართველოს ბედი.

საერთაშორისო პირობებიც არ იყვენ სწორად დაფასებულნი. ქართველი სოციალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ ევროპის სოციალისტებზე. ეროვნული მიმართულებანი კი საკითხს ზომავდნენ ევროპის ეკონომიური და პოლიტიკურა ინტერესებით საქართველოსა და კავკასიის მიმართ, დიდს მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ევროპის ქვეყნებს ერთა სუვერენობის პრინციპი ჰქონდათ მიღებული საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლად, და ამის ხორცშესასხმელად ნაციათა ლიგას ჰქმნიდნენ. ყველა ასეთი ვარაუდებია ემყარებოდნენ მსოფლიო ვითარების შემცდარ დაფასებაზე, ეს არც არის დიდათ გასაოცარი. მსოფლიო შექმნილ მდგომარეობის სწორი დაფასება თვით ევროპის მეთაურებმაც ვერ შესძლეს.

საქართველოს იურიდიული ცნობა მიანიჭეს მრავალმა სახელმწიფომ და თვით საბჭოთა კავშირმაც. ხოლო მისი პოლიტიკურად და ეკონომიურად გამაგრებისათვის დახმარებას ყველა მოუხიდა. ზოგო სისუსტის გამო და ზოგი კიდევ კომუნისტური რუსეთის ხათრით, შიშით, თუ ამ ძალის თავის სახელმწიფოებრივ ინტერესებისათვის გამოყენების იმედით. ეს ბოლშევიკური რუსეთის „გამოყენება“ მრავალმა ერთა სცადა მთელი მსოფლიოს სივრცეზედ. ასეთა პოლიტიკა გლამანიამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს, ბოლშევიზმის ბელადების რუსეთში შეგზავნით. რუსულთა ნაყოფიც მიიღო: რუსეთის ფრონტის დაშლა და შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკი; საბჭოებთან ეკონომიური და პოლიტიკური დაახლოება. როდესაც ლენინი ახილეს — კაპიტალისტურ გერმანიის ფულადი და დახმარებით მოახდინა რევოლუციკა და რუსეთის იმპერია დაანგრია, მან უპასუხა: ამ ვალს გადავიხდით, რევოლუციონური რუსეთის ფულადი და საშუალებით დავაქცევთ გერმანიის იმპერიასო. სტალინმა პირნათლად შესარულა ლენინის ანდერძი. საფრანგეთში ზოგნი თანატოლებობდნენ და მფარველობდნენ ბოლშევიზმს იმის გამო, რომ ის დიდი საფრანგეთის რევოლუ-

ციის პირმშო შეილად მიაჩნდათ; ზოგნი კიდევ, როგორც წინეთ მეფის რუსეთის იხმარდენ, ეხლა ბოლშევიკური რუსეთის გამოყენებას ცდილობდნენ გერმანულ საფრთხის წინააღმდეგ. ეს საფრთხე დღესაც არ მიაჩნია საფრანგეთს თავიდან აცდენილად, ხოლო მას მეორე საფრთხე დამატა, უფრო მოახლოვებული და საშიში — ბოლშევიკური რუსეთის საფრთხე. ლოიდ ჯორჯსაც ჰქონდა შემუშავებული გენიალური გეგმა ბოლშევიკური რევოლუციის გამოყენებისა. ეს რევოლუცია ისე დაუძღვრებეს რუსეთის იმპერიას, რომ ინგლისი ერთი საუკუნით მაინც განთავისუფლდებოდა რუსული საფრთხისაგან ინდოეთში, ჩინეთში და აზიის სხვა ქვეყნებში. გეგმა გონივრული იყო, ხოლო მას აკლდა ერთი რამ, და ეს იყო უმთავრესი: ამ ფენომენის, ბოლშევიზმის ბუნების გაგება და დაფასება. რუსეთის იმპერიის მშართვულ წრეების იმპერიალისტურ მადას ზოგი რამ კიდევ ზღუდავდა და აზომიერებდა: საერთაშორისო უფლებების ნორმები, ხალხთა ურთიერთობის ზნე და წესი, სარწმუნოება და სხ. როდესაც მათი ადგილი დაიკავეს, ყოველივე ამას განშორდებულ კბილებ გაღესილ ბოლშევიკებმა, ეს საფრთხე ერთი საუკუნით კიარ გადაიდვა, არამედ დაუყოვნებლივ გამოცხადდა და მალე კიდევაც განაღდა, განხოცკიულდა. მარშალ პილსტრდსკის მიაწერენ აზრს: პოლონეთ-სათვის ბოლშევიკური რუსეთი ყოველგვარ სხვა რუსეთზე უმჯობესიაო. სინამდვილეში ის ყველა სხვა რუსეთზე უფრო საშიში გამოდგა პოლონეთისათვის. ასევე სხვა ფრებიც აიყენებდნენ" ამ ბოლშევიკურ ძალას. ასეთი პოლიტიკის შედეგებს საკმაოდ ნათელ ჰყოფს ევროპის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ეხლანდელი მდგომარეობა...

დიდი ომით დაუძღვრებული ევროპა, თან ასეთი და სხვა ამის მსგავსი ოცნებებით შეპყრობილი, რასაკვირველია ევროპიანის ყურადღებით ვერ მოეციდებოდა ბოლშევიკური ტირანის წინააღმდეგ მებრძოლ ერებს. მართალია, საქართველოს და სხვათაც ხშირად იხსენიებენ თანაგრძობის სიტყვებით ნაციათა ლოგაში, პარლამენტებსა და პრესაში. ამერიკის სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ საგანგებო წიგნიც გამოსცა საქართველოს საკითხის შესახებ. ყოველივე ეს კარგი იყო და სასიამოვნო, ხოლო ნაკლებად აწუხებდა და ენებდა კომუნისტურ რუსეთს, და ვერაფრით ამსუბუქებდა მის მიერ დამონებულ ერთა მწარე ყოფას.

ასეთი ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ფრჩად გასაოცარი ამბავია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი ამბავი... ეს ომი სწამროებდა ერთა და მოქალაქეთა თავისუფლების დროშის ქვეშ. გამარჯვებული დემოკრატია თითქოს შეუღდა ამ მიზნების განხორციელებას ხარტოებისა და ტრაქტატების შეკერით, თავისუფლებისა, ზავისა და მშვიდობიანობის დასაცავად საერთაშორ-

როსო ორგანიზაციის — ონუს დაარსებით, მრავალნაირ პაქტების დაწერით, აურაცხელ ყრილობების მოწყობით. ონუსი 59 სახელმწიფოაწვერად და მათ შორის ისეთებიც, რომელთა არსებობა ამ ჩვენს პლანეტაზედ უთუოდ არც იცოდა წინეთ ონუს წვერთა უმრავლესობამ. მათ ეხლა მიანიჭეს ერისა და სახელმწიფოს წოდება. ამავე დროს ონუს გარეშე დაუტოვებიათ იტალია, ისპანია, პორტუგალია, აესტრია, რომელთაც ეპოქები შეუქმნიათ კაცობრიობის ისტორიაში. ბოლშევიკურ რუსეთის ათვალისწინებელი ჰყავს ეს ქვეყნები, როგორც „ფაშისტური“ და გარკვეულად ანტი-კომუნისტური. ნათელია, რომ იქ ვერ მიიწვევდენ საბჭოების მიერ დაპყრობად ერთა წარმომადგენელებს. ამათი სახელის ხსენებად დაუშვებელია ამ ერთა თავისუფლების განმტკიცებას დაფუნებულ დაწესებულებაში. თავისუფლების მოციქულად მიჩნეული მსოფლიო პრესაც კი გაუფრბის ამათი სახელის ხსენებას. აქა იქ მოიგონებენ კიდევ ათს ევროპიულ სახელმწიფოს, რომელნიც ომში შევიდნენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ხოლო ომის ვათავებისას ბოლშევიკური რუსეთის კლანჭებში აღმოჩნდნენ. 1921 წ. ევროპაში ვადმოხიზნულა საქართველოს მთავრობა ხომ არ იცენეს ევროპის სახელმწიფოებმა, როგორც იურიდიულ უფლებებით მოსილი ორგანო. იმ ხანად ეს ბევრს უკვირდა. ამ ეამად ასეთი რამ ვის გააოცებს? ონუ და მასში მონაწილე სახელმწიფოები დღეს არ სცნობენ თვით ამ ომის დროს მოსკოვის მიერ მითვისებულ სახელმწიფოთა მეფეებს, მთავრობებს და პარლამენტებს. საერთაშორისო ასპარეზზე მათ უშუალოდ მოსკოვი წარმოადგენს, ან და მის მიერ დანიშნულ კომუნისტური მთავრობები. ამავე ყოფაშია ის ქვეყანაც, პოლონეთი, რომლის დასაცავად ასტყდა ეს საშინელი ომი, რომელმაც ვანიცადა პარყელი საშინელი დაბერება ჰიტლერის მოტორიული არმიებისა, თავგანწირულად იბრძოლა, უამრავი მსხვერპლი ვაილა, იარაღი არ დაჰყარა და ბრძოლა ვანაყრძო. პოლონეთს ჯარმა ბრძოლით ვადაიარა სირიის, პალესტინის და ეგვიპტის ველები და უდაბნოები, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, პოლანდია და მიადწია ბერლინის კედლებს. ამ ქვეყანას დღეს ონუსი და ყველგან წარმოადგენს კომუნისტური მოსკოვის მიერ დანიშნული „მთავრობა“ და არა თავგანწირულ ბრძოლათა ხელმძღვანელი პოლონეთის პრეზიდენტი, პარლამენტი და სარდლობა...

ამგვარ მოვლენათა მშოლოდ აღნიშვნაც შორს წაგვიყვანდა. ხალხთა შინაური ცხოვრებისა, თუ საგარეო ურთიერთობის ყველა უფლებრივი და ზნეობრივი საღტები მოშვებულია და დაწყვეტილი. ამავე დროს აწც ერთს ეპოქას არ უხილავს ასეთი საყოველთაო და გამდამებული ყოფინა შესახებ თავისუფლების უზენაესობისა, ერთა და მოქალაქეთა წმინდათა წმინდა უფლებებისა, სამართლიანობისა, კანონი-

სა, ხელშეკრულობისა და პირობის გაუტყუებლობისა... ყველას ეს მღალა იდეალები აკერია ენაზედ, ყველანი მათ იცავენ და ქადაგობენ, ხოლო სინამდვილეში მათი გამარჯვებისათვის რეალურ მოქმედებას ყველა გაუტრბის, სახვალთ ინახავს, ანუ სხვას ულოცავს, სხვისგან მოელის,



კაცობრიობის ასეთი აღრეულობა მწარე საგონებელში აგდებს დიდ სახელმწიფოებსაც, რომელიც ჯერ კადაც ფეხზე დგანან, ხორციელად და სულიერად საესებით არი დაძაბუნებულან. რასაკვირველია ის ვერ მოაჭერის იმედსა და ნუგეშს მსოფლიო ქართველით დაღწილ ერებს, მაგრამ ფიზიკლი გონებით და მკრელი ხედვით თუ ჩაეწვდებით ზალხთა ცხოვრების მძიმედ- დასნეულებულ სინამდვილეს, სასოწარკვეთილების მომგვრელ მოვლენებთან ერთად, ჩვენ დავინახავთ აგრეთვე გაჯანსაღების ნიშნებს, განკურნების იმედის სხივებს. კომუნისტური მოსკოვის მიერ საქართველოს და კიდევ სხვა ქვეყნების დაქცევა და დამონება შორეული ამბავი იყო. მას ევროპა და სხვა ქვეყნები უშუალოდ არ განიცდიდენ და მის შედეგებსაც ვერ ათვალისწინებდენ. ჩვენი უბედურება შემდეგ სხვების კარებს მიადგა, შემდეგ კიდევ სხვებისას. მკორე ანტანტების ჯებირებმა ეს ბოლშევიზმის ტალღა ვერ შეაჩერეს, ის ევროპის შეთავსულში შემოიჭრა. ესლა უფრო დიდი ანტანტები არსდებ, ამერიკულ მასშტაბის პლანები და პაქტები იკრება, მილიარდები ინახვება, ქვეყნების ინდუსტრიალური და მილიტარული შეიარაღება მზადდება ხალხთა სულიერათ გასამაგრებლათ, პრესა და რადიო ამუშავდა. მართალია ევროპა - ამერიკის ასეთმა ამოქმედებამ გადაჭარბებული ილიუზია გამოიწვია და ის არ გამართლდა. ორი მხარის ერთმანეთის წინააღმდეგ ახდის დაპირდაპირებას, ახდელს მზადებას და ამასთან ერთად ერთმანეთთან კამათს, ცივი ომის სახელი მიანიჭეს და ევროპა - ამერიკაში ბევრი სიბარულს გამოოსტეკვამს, რომ ეს ცივი ომი დასავლეთმა უკვე მოიგო. ამის საბუთად ის მოჰყავთ, რომ წითელ მოსკოვმა ბერლინის ბლოკადა გამოაცხადა და ერთი წლის შემდეგ იძულებული გახდა მოეხსნა. სინამდვილეში კი გამოიჩინა, რომ როდესაც ამერკა - ინგლისის 12.000 ჰაეროპლანი ბერლინისათვის ნახშირსა და სურსათს ზიდავდა, კომუნისტური მოსკოვი დიჭარებით ჩინეთს ააჯალს უზიდავდა და მის გაკომუნისტებას ამზადებდა. ბერლინი მატარებლების მოძრაობას აღდგენას მოსკოვი მაშინ დასთანხმდა, როდესაც ჩინეთს საქმე მოთავებულათ მიიჩნია. დასავლეთს ჯერხნობით არავითარა გამარჯვება არ უზიდავს და ეს გასაგებია, რადგან ის მხოლოდ ესლა იწყებს ამოქმედებას იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობს გა-

მუდმივით და დაუღალავით ყოველგვარი ძალისა და საშუალების გამოყენებით.

გამარჯვებებზე ლაპარაკი ჯერ კიდევ თუ ნაადრევია თანამედროვე ცივილიზაციის საფუძვლებზე მდგარ კაცობრიობაში, რომ ფრიად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, ეს უდავო სინამდვილეა. დღეს ეს ნათლად ხედავს ბოლშევიკური საშინაობის მრისხანე ტალღებს მის კედლებს რომ ასკდებიან, ის ეხლა იმისაც ამჩნევს, რასაც წინეთ ავთიმყოფური ფსიხოზით შეპყრობილი და დაბრბავებული ვერ ამჩნევდა. ამოცდათი წლის მანძილზე ფარულის გზებით, მის სხეულში შეჭრილმა და მოკალათებულმა ბოლშევიზმმა მისი სოციალური და პოლიტიკური წყობა ასაფეთქებლათ განაშხადა. ამიერიდან ეს დიდი საფრთხე კულტურულ კაცობრიობის საერთო საფრთხედ ხდება. ამის მიხედვით აღარ არსებობს ვერძოთ და გამოყოფით არამც თუ ქართული ერის, ან სხვა საბჭოთა მიერ დამონებული პატარა ერების საკითხი, არამედ თვით ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის. საერთო განსაცდელის წინააღმდეგ საერთო ძალებით ბრძოლა და მოქმედება, თავდაცვის ელემენტარული ინსტიტუტით ნაკარნახევი, სწრაფი ტემპით იზრდება და ფართოვდება.

ამ ზომად ამღვრეულ და დაძაბუნებულ კაცობრიობას კიდევ შერჩა საკმაოისი ძალა და საშუალება განსაცდელის დასაძლევათ. საკმარისა მხოლოდ, რომ მის მეთაურებს აღმოაჩნდეს მათი გამოყენების უნარი და ნებისყოფა. ესეც თუ არ გამართლდა და თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკური, სოციალური და მოქალაქე წყობა ჩამოინგრა, როგორც ეს მოხდა წარსულში, რომ ხანგრძლივი კაპანწყევტის შემდეგ, კაცობრიობამ ველზე შექმნას გარეგნულად ახალი, ხოლო არსებითად ისევ მითა ეამს არსებულ საფუძვლებზე აშენებული ცივილიზაცია, სასოწარკვეთილებაში ამანაც არ უნდა ჩავყავდოს. ჩვენს ერს მრავალი მძიმე კატაკლიზმი უხილავს თავის წარსულში, მაგრამ გადაუტანია. შემცდარია ეს აზრი, თითქოს ასეთ მძიმე სენსა და განსაცდელს მხოლოდ დიდი ერები უძლებენ. როგორც აღაშინანის ძალა და გამბლუობა არ განიზომება მისი წონით და ტანის სიდიდით, ისე ერისაც ისტორია მრავლად გვაწვდის ამის მაგალითებს და ესევე ჩვენი ეპოქაც. ჩვენს თველწინ დაიმსხვრენ დიდი იმპერიები, მხოლოდ მრავალი მცირე სახელმწიფო გადარჩა და საკეთარ ფეხზე სდგას. პატარა საბერძნეთმა დაამარცხა ფაშისტური იმპერია, რომელსაც მცირე დიდი იმპერიის მიშველება დასჭირდა. პატარა ფინლანდია გაუმკლავდა კოლოსალურ რუსეთს, დიან, გაუმკლავდა. ამ მსოფლიო ქარტეხილში აღდგენა და აშენება 25 საუკუნის წინეთ დამსხვრეულ იზრავლითა სახელმწიფოსი! ამ საკვირველებას ემჩატულ კაპიტალის ძალას მიაწერენ. ნიუორკის ბორჯაზე დილიდან საღამომდე ებრავლი რომ აქციე-

ბის ფასებს გაპყვიარის, მისგან კაპიტალის ხელიდან გამოგლეჯის აშმა-
ვიც კი არ არის კაპიტალის საქმე. ან კიდევ ხაიმ უეიცმანი, მეცნიერი
ქიმიკოსი, ომის დროს ტენიეტურ გამოგონებებში მილიარდერო რომ გა-
ხადეს და ეს კაპიტალი მან პოლიტიკურ აქციით გადაახურდა და თა-
ვის იდეალს შესწირა; და ეს ჩვენს დროში, უსაზღვრო ინგაჩიშებით
გაგლეხთილ ეპოქაში, როდესაც მრავალნი იმას ცდილობდნენ, რომ პო-
ლიტიკური აქცია ფულზე გადაახურდათ. 25 საუკუნის წინეთ დან-
გრულ იზრავლთა სახელმწიფოს აღდგენის წყარო და საფუძველია
ის ძლიერი სული, რომელიც შეუნახაქა ებრაელობას, მთელს შთაფ-
ლიოში გაფანტულს, ბოგანით ქცეულს. 25 საუკუნე სხვის კარ-
ზე მოხეტიალეს, ყველგან დევნილს, აბუჩად აგდებულს და ათეაღის-
წინებულს. საუკუნეთა მანძილზე დევნილობაში მან ყოველივე დამ-
კარგა, რაც მას ქანაანთა მიწიდან გამოჰყვა. ქონება მრავალჯერ შეუ-
ძენია, მრავალჯერ გაძარცულა, ზოლო ეს სულიერი ძალა არ დაუკა-
რგავს, მისთვის ევრაეის წაურთმეცია. ამ სულიერ ძალას ნაყოფია
ებრაელობამ სამშობლოსსიყვარული რელიგიურ რწმენად რომ აქცია
და აღთქმულ ქვეყნის დაბრუნების იდეა 25 საუკუნე თავის გულში
ატყა. სწორედ ეს არის ის ძალა, რომელმაც ებრაელებს თოფი ხელ-
ში ააღებია და თავგანწირულ მტოზრად გახადა. სწორედ ამ სულიერ-
მა ძალამ წყნარი მეცნიერი ბიბლიურ მეთაურ-პატრიარქად გარდაქ-
მნა და შეასრულებინა საქმე, რომელიც უფრო მძიმე იყო და რთული
ვიდრე მოსე წინასწარმეტყველისა, თავისი დევნილი უჩი მენამურ
ზღვაზე რომ გადაიყვანა და აღთქმულ ქვეყანაში შეუძღვა.

ეს უხილავი და შეუცნობი სულიერი ძალა, წყაროა ყოველივე
ადამიანურ ძლიერებისა, გამძლეობისა, ქირ-უარამის გამკლავების და
ვადატანისა. სულიერ სიმტკიცემ წარსულში მრავალ განსაცდელისა-
გან იხსნა ჩვენი ერი. ის მის კვლავ იხსნის, კვლავ გადააჩენს.

აღ. ახათი

ო მ ი ლ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

კაცობრიობას ყოველ ეპოქაში ევლინება ომის საშინელება. უთუ-
ოდ მართალია, რომ მისი გამოშწვევი მუდამ იყო პოლიტიკური, ეკო-
ნომიური და ნაციონალური მიზნები.

შეიძლება თუ არა ომის გამოშწვევე. მიზეზები მოიპოს და ერთა
შორის დავა გადიქრას საერთაშორისო სამართლის წესების მიხედვით,

ე. ი. მშვიდლობისნის გზით? დასაბამიდან დღემდე მსოფლიო ისტორია გემეტყვიებს, რომ ეს არ არის შესაძლებელი.

ამდენხანს ეგონათ, მხოლოდ ნაციონალიზმით შეპყრობილი ერები ისწრაფოდა იმპერიალისტურ-დამპყრობი ომებისაკენ, ესაა გამოიჩევა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც თითქოს არის უაღრესად ინტერნაციონალური და სამშობლო კომუნიზმისა, არა ნაკლები იმპერიალისტურია და გამზადილი საექსპანსიოდ, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფო.

ძალა თუ სამართალი? ბატარა ერი, რომელიც ყოველთვის ობიექტია ძალმომირობის, რა თქმა უნდა, უმჯობესა საერთაშორისო სამართლიანობას დაემყაროს, მოსთვის ეს უფრო ხელსაყრელი ეროვნულ თავისუფლების ძიებისათვის, ვიდრე ფიზიკური ბრძოლა და სისხლის გაღება. ომი ხშირად საბედისწეროა არა მარტო მცირე, არამედ თვით დიდ ერთათვისაც; ხოლო ყველას ეს ასე არ ესმის და ომს მართლაც ყვედა და ყვეს თავის აპოლოგეტები, ისინი ფილოსოფიას და მენიურებასაც კი მიმარბიან, რომ დაამართლონ მისი ფატალური შედეგებობა.

გერმანელმა ფონ - ბერნჰარდმა ბიოლოგია მოიშველია: „განა დარეინმა ჩვენ არ დაგვიმტყივა, რომ ომი ბუნების ძირითადი კანონია, თვით ადამიანში არის მოცემული ინსტიქტი და მდარეკილება ბრძოლისა“.

ზოგიერთებმა ომს ხნობრივი საფუძველი გამოუჩინეს: ის საობს ძველს და ახალს ბადებსო. ყველაზე კეთილშობილა სათნოება არის მამაკობა, მოთვინება და სამშობლოსათვის თავგანწიება. ამ სათნოებათ მხოლოდ ომი ღძრავს ადამიანში. თენიერ ომისა კაცობრობა ჩაეფლობოდა ტლანქ მატერიალაზმში (მოლტკე). მისი სული დამძიმდებოდა ნივით.

ომის მღალადებლნი კიდევ უფრო შორს მიდიან: მას ღეთებრივ საქმეთ აცადებენ და მისტიურ სამოსელში ხვევენ. „ეს უღობელი კანონი ომისა, მაგრამ ბუნებრივი და აუცილებელი, მსოფლიოს დიდი ლოდია. მოვლი ღედამიწა მარად ირწყვება სისხლით, ის არის ევბროთელა საკურობეველი, სადაც მიტანილი უნდა იქნეს ყოველგვარი შესაწირავა დაუსრულებლად და შეუწყვეტლად, სიცოცხლის და ნივთის დაზარევით. მაშასადამე, ომი არის თავისთავად ღეთებრივი, რადგან ის არის მსოფლიო კანონი (გრანგი ჟოზეფ დუ-მაისტრ).“

შტაინმეტი თავის „ომის ფილოსოფიაში“ ამბობს: ომი თვით ღმერთის განსჯაა, რომლის უზენაესი მსაჯული თვით იგია, რომ სამართლიანად მიუზღოს ყველას თავისი ზვედრი, თავიანთი სიკეთის თუ სიავის მიხედვით.

„მაღალი ღმერთი მოავლენს ომს, როცა ამის საჭიროება იქნება კაცობრიობის დასასჯელად“. (ტრაიტშეკ).

ყველა ეს მოსაზრებანი უთუოდ შეიცავენ მოჩვენებით ან ნაწილობრივ სიმართლეს, ზოლო სინამდვილენი მათი არგუმენტები მეტად სუსტია.

ფიზიოლოგიური შეხედულება დამყარებულია დარვინის ცუდათ გაყებაზე, მისი პრინციპების აღრევაზე. შეუსაბამო ფატალისტურ კონცეპციის ბუნების კანონებთან დაკავშირება. ასეთი განმარტება დარვინის თეორიისა მცდარია. ცოცხალ არსებათა შორის კონკურენცია არის უბრალო ქიშობა და არა ნამდვილი ომი.

მორალური არგუმენტაც კიდევ უფრო სადაოა. მართალია ომი იწვევს ბევრ სანაქებო გმირობას, მაგრამ ის ყოველთვის იყო ამავე დროს ხალხთა გამანადგურებელი, მაშინ ეს თავგანწირვა და გმირობა რჩება ამოღ. კაცთა მოდგმა უნდა დაკმაყოფილდეს მართაოდენ ბუნების წინააღმდეგ ბრძოლით და არა ურთმანეთის ამოყლევით. ეს უფრო მიზან შეწონილი იქნებოდა. მეორეს მხრივ, თუ ომი ბადებს ადამიანში ბევრ კეთილშობილ სათნოებათ, იგივე ომი გზას უბნის და მასში აძლიერებს დაბალ გრძობებს, ელურ ინტიკტებს, აღვირახსნილ ანგარებას და აღიზიანებს ეგოიზმს. პიროვნების სიცოცხლას პატავისცემა ჰკარგავს ყოველგვარ ღირებულებას. სტატისტიკა ამოწმებს, ომს თან ყვება ზნეობის დაკემა და ამრავლებს სხვადასხვა ფორმის ბოროტმოქმედებათ. უმჯობესია, საომარ სათნოების უმაღლესი მიზანი შეესაბამებოდეს ადამიანთა ნორმალურ მოთხოვნილებებს და არა მათ განადგურებას.

რაც შეეხება ომის მისტიურობას, ან ღვთის სამსჯავროს, ის ძველი შეხედულებათა დანაშთია, დღეს მისი გამართლება ნაკლებ საჯეროა.

დასაარულ, ომი სრულებით არავითარ სარგებლობას არ უტანს არცერთ სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. ინგლისელმა ანგელმა გაბედულად უარყო ომის „დიდი ილუზიები“, თუნდაც გამარჯვებულისათვის.

ურთი ფრანგი მოაზროვნის ან ივეეს, ვილაპარაკოთ ომზე უბრალოდ და გონიერულად. ომი ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სამართლიანობის დასაცავად, ზოლო შედეგი, რომელსაც ის იძლევა არ არის არც სათავე და არც გამოვლენა სამართლისა. ეს ძალადობაა, ძალადობის წინააღმდეგ და როგორც საშუალება ბოროტების შესამუსრავად დასაჩუბია, მაგრამ პრინციპში მისი აყვანა, უ. ი. ომი ომისათვის, ან დაპყობისათვის ამორალურია, ცუდმართლებულია და დასაგმობი.

მიუხედავით ომის სწინელებმა, დღეს ყველა მოსალოდნელ ომზე ლაპარაკობს. ყველას აუცილებლად მიაჩნია საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეიარაღებული კონფლიკტი. უსისხლო ომი მონიტორირა

და მოსაწყენი გახდა. მოკავშირეთა შორის ზღვის ჩამოგდება, მშვიდობიანის გზით, შეუძლებელი შეიქმნა. ისე როგორც ყოველთვის, საცილობელი საკითხები ხმალია უნდა გადასჭრას, რადგან საზოგადოებრივ ციხეებში უშედეგოთ მთავრდება. მოდავეთა შორის ურთიერთ კომპრომისი აღარ ხერხდება. ყველაზე მეტი ბრალი ისევ მოსკოვს მიძღვრის. საერთოდ დიქტატორებზე დაბრუნებული დიპლომატიური საუბარია ნაკლებ მოქმედობს, მათზე სამხედრო საქურველი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს.

სტალინი დროის მოსაგებათ მსოფლიოს აყრუებს პროპაგანდით, რომ მას ომი არ უნდა. ყველგან სამშვიდობო ყრილობებს იწვევს, სადაც მისი მოყმენი ერთხმად გაიძახიან: ძირს მესამე იმპერიალისტური ომი! ამ ხნის განმავლობაში თვითონ კი გაშმაგებით ეშხადება ომი-სთვის.

ომი ზოგს უნდა, ზოგს არ უნდა. პაციფისტები მას პრინციპალურად უარყოფენ, თითქოს ის იყოს ეისეს სურვილზე დამოკიდებული და არ იყოს აუცილებელი სოციალურა მოვლენა. ზოგი ფიქრობს, რომ ის საშინელებაა: ბევრ სახლებს ანგრევს, ბავშვებს და ქალებს ხოცავს. ზოგიც სამართლიანად შიშობს, რომ ომი განსაცდელს უშხადებს ქართველ ხალხს, ამიტომ მასზე ოცნებას, თავი უნდა გაეანებოთ და ერთხელ და სამუდამოთ გამოვეთხოვით ილუზიებს. ეუცადოთ, სანამ მისი შინაგანი კრიზისით თვით არ დაემხოება საბჭოთა რეჟიმი (ავტორი დიდი ხანია ელოდებით, მაგრამ ეს კრიზისი ვერ არსად სჩანს). მანამდის ჩვენ არავითარ საომარ კომბინაციებში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ეს კომბინაციებია: ჩვენთვისაც ყოველგვარი ავანტიურა მთლებულია. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, არა ესთქვით ამ განკითხვის დროს სად ეიქნებით. უნდა ეიცოდეთ ვინც ნადირობაში მონაწილეობს არ მოიღებს, ის ნანადირევიცაა წილს ვერ დაადებს.

ესა იმაზე საუბარი, რომ ჩვენ ვილა-ვილაყები ჩვენს ხაზზე უნდა ვადმოვიყვანოთ, ისიც შეუფუჭებული პარტენიებით, ცოტა უხერხულია. ჩვენ თვითონ უნდა მოინახოთ ჩვენი გზა და ამ დიდ ქოდილში, გარკვეულად დავიკავოთ საკუთარი პოზიცია, მერმისათვის ვამოსადგვი.

როგორი უნდა იყოს ჩვენი შეხედულება მოსალოდნელ ომზე? ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვამბობთ საქართველოზე, ის დამპყრობილია მტრის მიერ, ისე როგორც სხვა მრავალი ერი. მას არა აქვს უფლება ახდილათ გამოამეღლანოს თავისი სურვილი და ნებისყოფა. იქ მოსაობილია ეროვნული, პოლიტიკური და პიროვნული თავისუფლება, ესმრავალი ერები და მრავალი მილიონი ადამიანი მონებათ არის გადაქცეული, კაცის ყოველგვარი ღირსება ფეხქვეშ არის გათელილი და ეს ყოველივე შინ და გარეთ სოციალიზმად არის გასაღებული. ან როგორ

შეიძლება საუბარიც კი ასეთ „ჯოჯობეთურ პირობებში რაიმე ნება-სურვილის გამოხმლანებაზე? ან როგორ ვნებათ ეს ბოროტება თვისიერა ძალისა ილიგეს მიწისაგან პირისა?

რა თქმა უნდა ჩვენ წინააღმდეგი ვიქნებოდით ომისა, რომ საბჭოთა კავშირი კეთილ ინებებდეს, მშვიდობიანობის საშვალებით, პატარა ერებს მის მიერ დაპყრობილს დაუბრუნებდეს ეროვნულ თავისუფლებას, მაგალითად, რეფერენდუმით, რომელიმე საერთაშორისო დაწესებულების, თუნდაც იმავე შეერთებულ ერთა ორგანიზაციის ჩარევით და არბიტრით, მაგრამ კრემლის დიკტატორები არც ისეთი გიგებია, რომ მათთვის ასეთ სახიფათო რამეზე დასთანხმდნ.

მაშასადამე, რჩება ერთი საშვალდება უსამართლობის დასათურგნავად: ეს არის ომი, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ საერთაშორისო გართულებული მდგრძარეობა დღის წესრიგში აყენებს. მორალურად ომი არ მართლდება თუ ის მზგავსათ საბჭოთა რუსეთისა, აგრესიულ მიზნებს ასახავს, ახალი ქვეყნების დასაპყრობლად. ბოლო თუ ის მიმართულია ხალხთა მზგერელთა დასამზობათ, მეტად კანონიერი და სამართლიანი არის. ყველას აქვს უფლება იბრძოლოს თავისუფლებებისათვის, ძალმომრეობას მხოლოდ იარაღი უღებს ბოლოს. ამასთანავე ჩვენ ვიცით, უბრძვს ჯანთავისუფლება ისტორიულად ომის შედეგთ იყო. თუმცა ომი ბევრ ფიზიკურ და მატერიალურ მსხვერპლს მოითხოვს და თუ ჩვენ გვჯერა, რომ ბოლშევიზმი წარმოადგენს ბოროტებას უფრო მეტ მსხვერპლიანს, მის დასაძლევათ ეს მსხვერპლი გაღებული უნდა იქნეს. სხვა გზა არ არსებობს: ან ბრძოლა, ან მონობა, ასე ზღვას საკითხი.

ამ ბოლო დროს საბჭოთა ნაციონალიზმი (ისე როგორც სოციალიზმი, რასაკვირველია, მახინჯი სახის) ყოველად მიუღებულ ხასიათს დებულობს. ვერ ეგუება საერთაშორისო სამართლის წესებს, რომელიც საგაღდებულო უნდა იყვეს ყველა ცივილიზებულ ერთა შორის ურთიერთ დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად. მას ეს ურთიერთობა არ ესმის ვარეითად უბეში ძალქა. ე. ო. მიმარტობს იარაღს, დაიპყროს თავისუფალი ერები, მათი ნების წინააღმდეგ, ისიც კომუნისზმის სახელით და დაუმორჩილოს საწინელ დიკტატორიალურ რეჟიმს.

ეს მაინცადამაინც ახალი ამბავი არ არის. ძალის თაყვანისმცემელი, წინათაც ბევრი იყვნენ; კრემლის მბრძანებელთ თუ მათი გვირგვინი არ ასვენებს, ზანდაზან მათი ბოლოც გაიხსენონ!

საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო აღარ არსებობს, ის შედის საბჭოთა კავშირის ნაძალადებ ფედერაციაში, მაშასადამე, ის ომში მონაწილეობას ვერ მიიღებს, როგორც ცალკე ერთეული, ეს ცნაღია ყველასათვის. ბედის აწონიით საქართველო ფიზიკურ

რად მისი დამყობების მხარეზე უნდა იქნეს, თავის ინტერესების წინააღმდეგ.

სამაგიეროდ, უცხოეთში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოვალეობაა, ჩვენი ერის თავისუფლების დროშა ძირს არ დახაროს. ბრძოლა საბოლოო გამარჯვებისათვის, ყოველი საშვალეობით, მედგრათ უნდა გაგრძელდეს. სულიერი მოდუნება და ფიზიკური დაძაბუნება მტრის მიმართ, ვერაინისში შებრალების გრძნობას ვერ აღძრავს.

ღღეს კიდით კიდემლის ყველა თავისუფლებისათვის იბრძვის. ჩვენც მათთან უნდა ვიყვეთ, რადგან ძალა ერთობაშია.

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, ომის დანაშაულობა არ არის, არამედ უწმინდესი მოვალეობის შესრულება სამშობლოს წინაშე.

ბ. კირაქაძე.

=====

მ ე ლ ე ს ი ა დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ზ რ

ეკლესია, როგორც თეოკრატიული სხეულა, თავდაპირველ მიზნათ: ისახავს ადამიანის ცხოვრების სულიერი მხარისათვის ზრუნვასა, მის მოვლასა და აღმადლებას. ეს გარემოება გამოჰყოფს ეკლესიას ქვეყნით არსებულ ყველა ჯურის სხვა ორგანიზაციებისაგან—სახელმწიფოურისა, პოლიტიკურისა, ეკონომიურისა და ებრფე სხვა. ეკლესია არის განთვსებულუ ფენომენი ზეკვეყნიერი სახისა და დანიშნულებისა. ეს ფლემენტარი დებულება ბევრს იმ ჰაზრზე აყენებს, რომ ეკლესია — რაკი ასეთთა მისა არსება და მეტაფიზიკური თვისება— eo ipso გამოყოფილი უნდა იყოს ფიზიკური თვისების შემცველ საზოგადოებრივ ურთიერთობაში განწესებულ ატტობუტებისაგან. ეს ჰაზრი განსაკუთრებით სიღრმით შთასწევდა კაცობრიობის ურთ ნაწილს მეთვრამეტე სეტეტუნის მოყოლებით, როდესაც მექანისტურ-დეტერმინისტულ სწაულებას აღმოუჩნდნენ ისეთთა კარიფეები, როგორიც იყვნენ ბიუზნერი, მოლეროტი, ფოიერბახი, ოგიუსტ კონტი და ვგრეთ წოდებულნი ენციკლოპედისტები. ესევე დოქტრინა მიიღეს სახელმძღვანელო პრინციპათ მათმა შემდგომმა მიმდევრებმა, ისტორიული მატერიალიზმისა და მონისტური იდეოლოგიის დამაარსებლებმა და მუყაითათ შეეცადნენ ამ პრინციპების მიხედვით სოციალ-ეკონომიური მოვლენების განმარტებასა და დროათა სვლაში მათ შეტანას პრაქტიკულათ საზოგადოებრივ ურთიერთობაში კლასთა ბრძოლის სახელწოდებით. ურთბამათ აღებულ ამ დოქტრინებში ნათლათ გამოსახულია ათუიში და დსრულებულთი უარისყოფა ყოველორამ განჯინებულისა და ტრანსცედენტალისა.



ქვემოთ სტრუქტურებში მე შევეხები მეორე გარემოებას, სახელდობრ იმ პოზიციას, რომელზედაც დგას ხალხი საერთოთა იდეალისტურათ განწყობილი და ფორმალურათაც ეკლესიის წიაღში მყოფი. ამ ნაწილშიაც მოიპოვებან ბევრნი ისეთნი, რომელნიც ეკლესიას სცნობენ, აღიარებენ და კიდევაც მიაჩნიათ იგი სულთერი მოთხოვნილებასა და მორალის განმტკიცების დედაბოძათ; ხოლო ასეთების შეხედულებითაც ეკლესია განზორებული უნდა იყოს სახელმწიფოსა და მასთან გადაბმულ საზოგადოებრივი სახის კათოღორობისაგან. ამ საფუძველზე დაწყობა სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა ამ თეორიის მომხრეთა რწმენით სასაჩუკბლო არის ყოველისუწინარეს თვით ეკლესიასათვის, ანთაისუფლებს რა მას სახელმწიფო აპარატის ზეგავლენისაგან და მით ეკლესიური პრიორიტეტის შებღალვისა და დანინებისაგან. მართლმადიდებელ ეკლესიის ისტორიაში, თავი რომ დავანებოთ შორეულ ამბებს, ახალ ხანებშიაც მოიპოვება მასალა, რომელიც ერთნაირათ ამბარებს ზემოდებულებას. კონფლიქტები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საქმათ არიან აღნიშნულნი ისტორიაში: იოანე მრისხანისა მიტროპოლიტ ფილარეტთან; ალექსი მიხაილოვიჩისა პატრიარქ ნიკონთან; ბეტრე დიდისა—საზოგადოთ ეკლესიური პრიმატის შესამკარებლათა და მის მიერ ნაკარნახევ ჩაჩოებში შესაზღუდათ. ჩვენში ცნობილია უთანხმოება თეიმურაზ მეორისა ანტონ პირველ კათოლიკოსთან, თუმცა ამ დავაში ადგილი ჰქონდა სხვა გარემოებასაც, რაზედაც აქ არა ღირს შეჩერება; მეფისა და კათოლიკოსის დავას შედგათ მოჰყვა ანტონ პირველის გადაყენება მცხეთის ტატიდან და მისი გადახვეწა რუსეთში, სადაც ეს მეცნიერი მღვდელმთავარი—რაკი სიტყვამ მოიტანა—რვა წლის განმავლობაში ვანაგებდა არქაუბისკოპოსის ხარისხში იაროსლავ—იაროპოლეს კათედრას (შეტათ გამოსადეგი იქნებოდა, უკეთეს საქართველოში მცხოვრები რომელიმე სწავლული ამ პერიოდის არქივის შესწავლას ითაოსნებდა: ამითი მეთვრამეტე საუკუნის ჩვენი სიტყვიერებისა და ღვთისმეტყველების ყველაზე მალა მდგომი წარმომადგენლის ბიოგრაფიის ხარვეზი შეტყებული იქნებოდა). საქაოო ზდება იმისი თქმაც, რომ ანტონ პირველი ერეკლე მეფის ბოძანებით, მამის სიკვდილის შემდეგ დაბრუნებული იქნა საქართველოში და აღსრულა ვითარცა მცხეთის კათოლიკოსი და სრულიათ საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელი.

ზემოთ უკვე შევნიშნე, რომ ქართველთ მეფე—კათოლიკოსის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას საბაბათ სხვა მიზეზი ედო—არა სახელმწიფოური პრეროგატივებისათვის შეჯიბრება — და სრულებით მიუზგავსებელი იმისა, რაც ზდებოდა სხვაგან მართლმადიდებელ სახელმწიფოში, სადაც კონფლიქტებს იწვევდ: სახელმწიფო მართვად გამგეობის სისტემის ერთი მეორის საწინააღმდეგო შემეცნება. ჩვენს

სამეფოში არიდებული იყო ამ შხრივ ყოველივე რამ მყდროების და-
შშლელი, რადგანაც ორთავე ელემენტს იმთავითვე მინიჭებული ჰქო-
ნდა განსაზღვრული სფერო ერის მოვლასა და წარმატების გასაძლო-
ლათ.

მართლმადიდებლური მოძღვრება არ შეიცავს საზოგადოებრივ
ურთიერთობის მოწყობის კოდექსს: „სასუფეველი ჩემი არა არს ამა
ქვეყნისა“. ეს მცნება ხელშეუხებელი ქვაკუთხედი იყო ეკლესიური სოფლ-
ხედვისა და, გასაგებია, რომ ამაზევე უნდა იყოს აღმართული ეკლესი-
ისის სააქო ვარჯჯა საიქიოსათვის მიმართებული. დროებითი და წარ-
მაგალი ენასკება მუდმივსა და სამარადისოსა. ბოროტული ექვემდებარე-
ბა სულაუტს. მაგრამ აღამიანის დედამიწაზე ასე ვთქვათ პილღიგ-
რამულა ყოფნა მანც მოითხოვს მის შეგუებას სოციალ ცხოვრების
გამომსატყველ სხვადასხვა ელემენტებთან. სახარებაში უგულებელყო-
ფილს არ არის ეს აუცილებელი და მასთანავე სავალდებულო დანა-
რთი ვგუფუტ ცხოვრების ყოფაქცევია. მაცხოვრის მერ ეს მხარე
აღნიშნული არის ზოგადათ: მოციტ კეისრისა კეისარსა და ღმრთისა
ღმერთსა. დეტალიზაცია აცდენილი არის და ეს მასახედრია.

ამ წერილში პაზრათა მაქვს შევცხო მზოლოთ ერთ საკითხს: რა
არის უმჯობესი ქრისტიანული თვალსაზრისით—განზორებულათ და-
ტოვება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და ამრიგათ გამოცხადება რჯუ-
ლისა კერძო და ისიც ათვალწუნებულ და დრომოკმულ ანასტრონის-
ტულ ისტორიულ მოვლენათ, როგორც ამას ულტრამავენ ტვიწში მი-
შდეგრებს ყველა ჯერის სოციალისტები და ნიპილისტები, — თუ, პირ-
უკულმა მჭიდრო, ცხოველი და თანხმობლივი თანამშრომლობა მისა
სახელმწიფოსა და მასში მომქმედ ნაირნაირ ურთიელებთან?!


ქრისტეს მცნებას მიმდეგრმა და კერძოთ მართლმადიდებელმა, რა
საქმესა და სამსახურშიაც ჩამბული უნდა იყოს ის,—იქნება ეს სახელ-
მწიფური, საზოგადური, თუ კერძო,—მთლიანათ თავისა მოქმედება
და უნარი უნდა შეუფარდოს სახარებაში გამოსახულ პრინციპებსა და
დებულებებს. და რას ამოვკრეტთ აქ, თუ არა იმას, რაიცა ამშვენიერ-
ერებს, აპატოოსნებს და აღაფრენს გონებს სოკეთისა და სიმაჯოლისა-
კენ! საღმრთო წერილს თუნდაც ზერელეთ მცოდნემ, განა არ უწყის,
როგორი ძირითადი ცვლილება და შესხვაფერება დამყარდებოდა ამ
სოფლათ, უკეთუ ვაკობრიობა თუნდაც ნაწილობრივითა და წამოზ-
ბიკებით შეეზიარება ახალი აღთქმის დედაებრივ მოძღვრებას: ძმობა,
ერთობა, სიყვარული, მოყვასისადმი თავდადება და უმრავლესი სხვა
პოზიტიური მცნებანი, მუნ აღწერილნი. ღონ არის, რომ ათხოვოს
დღეს ამას ყუზი?! ნაცვლათ ამისა ქვეყნათ მადებულთა: „გულისსიტ-
ყვანი, ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ვაცის კლვანი, ანგა-
რებანი, უკეთურებანი, ზაცვანი, არაწმინდებანი, თვალბოროტებანი,

გმობანი, ამპარტავეანებანი, უფუნურებანი“ (მარჯ. VII, 21, 22). ცინ პოიზიბლუბა ამ სურათით, თუ არა მხეცსმიმსგავსებულ ადამიანი?! ზნეობრივ დასაბამის უარყოფამ აკი კიდევაც მიიყვანა დედამიწის მეუქესედ ნაწილში ხალხი იმ დონემდის, რასაც ძველი გამოთქმა ახალითებს: *Homo homini lupus est*. ზნეაღმალღებელი ადამიანი ამგვარი მანიფესტაციით შეძრწუნდება...

მაშ სად ვემოთ მალამო, საკურნებელი ამ აყროლებულ ჩირქისა? მოიწია დრომაცა და საჭიროებამაც ჩაფიქრდეს ამაზე ყველა, ვისაც გულში კიდევ უღვივის ნატამალი ზნეობისა და კეთილგონიერებისა. ეს წყრილი მიქმდენის „ძველებსაც“ და „ახლებსაც“; უფრო უკანასკნელთ, რომელთაც თითქმის მთელი ცხოვრება განვლეს მარკოზის სახარებაში აღწერილ შემომოყვანილ უპიტეტების სამყაროში...

„საერო“ სახელმწიფო, „საერო“ სკოლა, „საერო“ მართლმსაჯულება და ასე მიყოლებით,—ყველა ეს შერჩეული და შემოღებული არის ქრისტიანობის მტრებისაგან, რომელთა რიცხვი მარტო სოციალისტებითა და მარქსისტებით არ განისაზღვრება; ეს მთელი ლეგიონია და მისი რიგები დღითიდღე მატულობენ თვით პოლიტიკურათ ზომიერისა და ბურჟუაზულ ფენებში. სარწმუნოებმათან ბრძოლა უკანასკნელ ხანებში გაჭდაკეცა ნამდვილ შიხოზათ. რასა და ვის ძალუქს ამ ავარდნილ ტალღის შეჩერება? მხოლოთ მოწმუნეთა და ეკლესიის მეგობართა მიერ მოხმობილსა და დარაზმულ „ქრისტეს მხედრობას“. გავიდა ეს დრო, როცა „სოციალი სამართლიანობისა და ერთობის“ იდეოლოგიები კმაყოფილდებოდნენ არავისათვის საეაღდებულო შევირალა ფრაზეოლოგიით შესახებ სარწმუნოებამა და საზოგადოთ რწმენის თავისუფალ აღიარებას. ეს იყო ოდესღაც, „ნუგზარეთას“ ფაშს... საკმარისი იყო ამ იდეოლოგიის ხალხი ჩასდგომოდა სინამდვილეში უზარმაზარ სახელმწიფოს სათავეში, იქ, სადაც თავმოყრილია მრავალი ერი, ასევე მრავალი სარწმუნოების მლიაჩებელი, რომ ეს მედიდური დეკლარაციები და პროგრამულა ფორმულები ნიავს წაპყოლოდნენ: უკიდურესათ გააეებული, ჯოჯოხეთური ზომებით ამოძრავებული, უსასტიკესი და უანჩხლესი დევნა სარწმუნოებისა ყრუსაცა და ბრმასაც ცხადუყოფს ამ სალახანა ხალხის ავაზაკურსა და გათახსოვებულ ბუნებას. მაშასადამე მომწიფდა დრო, თუ უკვე დაგვიანებულოც არ არის, რომ მოწმუნე და ზნეობააუშორებულ წრებამაც გამოამჟარაეებულათა და მიკიბმოუკიბლათ საქვეყნოთ აღამალღონ ხმა ამყაეებული ჰაერის განსაწმენდათ.

სარწმუნოება და მისი მუხაიჩალტრე ეკლესია ჰშველის და ხელსუწყობს საზოგადო დანიშნულუბის ხელისუფლებას, რათა ხალხთა ურთიერთობასა და მიმართულებაში სუფევდეს კეთილი განწყობილება და სათნოება. ვისა აქვს რაიმე სათქმელი ამის საწინააღმდეგო, თუ



არა მოშინებულ ბუნებით დატვირთულს, უკაცობასა და არეგდარეგებზე მდგომს?! სარწმუნოებასა და ზნეობრივ საყუდელზე მდგომი სახელმწიფო თავის არსებაში იმმანენტურათ აღვიებს და ჰზრდის თვითთელი პიროვნების განმაკეთილწობილზელ პირობებს, პიროვნებათა კრებულს ხომ იგივე საზოგადოებაა. სახელმწიფო დამხმარე, უკლესია დამხმარე, ორივე ერთათ შემკრებილობითი გონებისა და მოქმედების მასუქებელი და წარმოიდგელი... უდიდესმა ჩვენმა მეფემ, სწორუბოვარმა ნეტარმა თამარმა ეს პაზრი ასე გამოხატა თავის სიბრძნითაღსაცხე სიფესიტყვაში: „თქვენ ღვთისამიერ განჩინებულხართ მოძღვრად ჩვენდა, გამოიძიეთ ყოველი კეთილად. დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გელარძნილი. ნუ თვალახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა უღებყოფთ სიმცირასათვის. **თქვენ მე ხიტყვით, ხოლო მე საქმით. თქვენ წვრითთ, ხოლო მე განსწვრითთ.** თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით. ხელი მიეცეთ უთმანეთს დაცეად სჯულთა: თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მღვდე; თქვენ ვითარცა ხელახუფაღნი, ხოლო მე ვითარცა იბგურნი“.

ქართველი ერის მარტყოლოვარო ისტორია უამრავი ეპიზოდების მომთხრობია საკათოლიკოსო ეკლესიის ღვაწლდებისა სახელმწიფოსა და ერისადმი. ჩვენს დროში ამისი ანარკელი ეკლესიის დიდმა და სახელგანთქმულმა მსახურმა შემოგვთავაზა ანდრუძათა და მისაბაძათ. წამებელი კათოლიკოსი ამბროსი განსახიერდა. ძველი ქართული ტრადიციების მტყველათ: „**მე არ შევდივარ სახელმწიფურ ფორმების განხილვაში—ავტორიტეტულსთ მიჰმართავდა ეს თავდადებელი მწყემსმთავარი გუნდის საერთაშორისო კონფერენციას (სადაც უღირსათ გვერდსუჯდა ჩიჩუჩინს მისი ყურმოჭრილი მონა, საქართველოს ერთი უძღები შვილი, შემდგომ მოკლული მეორე უძღები შვილის მიერ)**—გაჩნა მოვისურვებდი, რათა ჩემს ერსა და მის სამკვიდრებელს განავებდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც პატარვით მოეპყრობა და დაპზოვავს ამ ერის ხანდასმულ წარსულს, მის ადათებსა და ზნეზეულლებას, მის ტრადიციებსა და ერთობლივ მის სულსკვეთებს“...

კათოლიკოს ამბროსმა ღვთისა მორჩილმა და სამშობლოს ტიალი ბედის დამტრალმა, აპოთეოზის სახით განაბრწყინვა ის იდეალი, რომლითაც წარინიდებოდა ქართველი ერის სამეფეო ისტორიული სელს.

ეს ამბავი წვეითვისოთ და მივილოთ სახელმძღვანელოთ უმჯობეს ეამთა მოლოდინში.

რ. ინგილო.

ბოლო სანაწიხი

კაცობრიობის თანამედროვე თაობა განგების მიერ რაღაც არაჩვეულებრივი სიმძიმის ბედის წერით იქნა დატვირთული. განვლო მან მთელი ისტორიის უდიდესი ორი მსოფლიო ომი, რომელმაც საერთო ჯამში ათი წლის შეუწყვეტელი ბრძოლის საზე მიიღო. გარდა ამისა ბევრმა ერმა განვლო ხანგრძლივი სამოქალაქო ან კიდევ დამატებითი სხვა ლოკალური ომი.


ყველაფერი ეს თითქოს იმას უნდა გეჩვენებდეს, რომ ეს არაჩვეულებრივად მოქანცული და გაწვალტებული თაობა არას დროს იარაღს ხელში აღარ აიღებდა. მიუხედავად ამისა, სინამდვილე სულ სხვაგვართა გამოიყურება: ჯერ კიდევ არ ვახსენებულან უკანასკნელი ომით მოქანცული ზარბაზნები და კაცობრიობა, უკვე ახალ ომის ფსიხოზითაა ვატაკტებულა.

დღეს მსოფლიოს საერთო მდგომარეობა ისეთ ვითარებაში იმყოფება, რომ დედამიწის ზურგზედ აღარ აქცეობს არავითარი ისეთი კლემენტი კრებულ ცხოვრებისა, რომ მისი მომავალი უშუალოთ არ იყოს გადაბმული საერთაშორისო მდგომარეობაზედ და მის ვითარებაზედ. ამავე მდგომარეობაში იმყოფება ქართველი ერის ცხოვრების ყოველი მხარე. ეს გარემოება გვაჯილბებს მტკიცე შეფასებას და თვალყურის დევნას საერთაშორისო საზღვრების ყველა მოვლენებისადმი.

სანამ შეუდგებოდეთ კონკრეტულ მოვლენების უშუალო შეფასებას, საჭიროა ჯერ ჩამოვყალიბოთ ის საერთო ჩარჩოები, რომელთა საზღვრებშიც ვითარდება დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობა.

დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის ერთ უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ საზღვრებზედ აღარ არსებობენ არავითარი ისეთი ლოკალური, ადგილობრივი საკითხები, რომელთა მნიშვნელობა განისაზღვრებოდეს ორ უშუალოდ მომჭმედ ერისა თუ სახელმწიფოს ინტერესებით. დღეს, ყველაფერი, რაც ხდება დედამიწის რომელიმე წერტილზედ, უშუალოთ შეეხება მთელ კაცობრიობას. უკვე აღარ შეიძლება არც ერთი თოფის გასროლის ლოკალიზაცია და მისი მნიშვნელობის ადგილობრივი საზღვრით ამოწურვა.

პირიქით, ძლიერ ხშირად ადგილობრივი ძალების ბრძოლით სწარმოებს ვათამაშება სულ სხვა უცხო ინტერესების და ისეთ განზომის მოვლენებისა, რომელთადაც თვით მებრძოლ მხარეებს ბევრიც არ ეკითხებათ და ბევრიც არ ვაყვებათ. ამის საუცხოო მაგალითს წარმო-



ადგენს ისპანიის სამოქალაქო ომი და დღევანდელი კონფლიქტი საბერძნეთ - ალბანიის და საბერძნეთ - ბულგარეთის საზღვრებზედ.

შემდეგი დამახასიათებელი თვისება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისა ისაა, რომ არც ერთ ოფიციალურ და პასუხისმგებელ პიროვნებას ან ორგანოს არა აქვს არც უფლება და არც საშუალება გამოსთქვას თავისი ნამდვილი აზრი და შეფასება და დაარქვას მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელები. ეს ოფიციალური ელემენტები არამცთუ თვითონ გაურბიან მოვლენების ახილ დიაგნოზის დასმას, არამედ ყველგან იქ, სადაც მათ მიუწვდებათ თავის უფლებამოსილება, ყველასთვის შეუძლებელ ჰყოფენ ამ საკითხებზედ თავისუფალ და ახილ მსჯელობას.

მართალია, ეს მუდამ ცნობილი იყო, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ერთი ნაწილი საიდუმლოებით იყო მოცული, მაგრამ ის რაც დღეს ხდება, მას არაფერი საერთო არა აქვს ეგრედ წოდებულ დიპლომატიის საიდუმლოებასთან. ეს არის იძულებითი სიჩუმე სწორედ იმაზედ, რაც არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რაც ყველას უშუალოდ შეეხება და აინტერესებს და რაც ყველას შიშის ზარსა ჰკვირს.

თუ არსებულ მდგომარეობის შეფასებას მიუღწევთ მარტო რომელიმე ქვეყნის ადგილობრივი ინტერესების თვალსაზრისით, ან მხოლოდ ისტორიის მარტო დღევანდელი სურათის ჩარჩოებით, ან მხოლოდ რომელიმე ნაწილობრივ ჯგუფის თვორიის პორიზონტით — მაშინ ვერას დროს ვერ მივიღებთ მთლიან წარმოდგენას მსოფლიოს დღევანდელ ვითარებაზედ. ამისთვის აუცილებელია მუდამ თველწინ ექაონით მთელ კაცობრიობის ვითარების ის ნაწილი, რომელმაც ჩვენი თაობა მიიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე.

მდგომარეობის ამ ზომით მიდგომა აუცილებელია კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ თითოობრივ ერის პოლიტიკური არსებობა და განვითარება შესაძლებელია იმდენათ, რამდენათაც იგი ჩაბმულია საერთო მსოფლიო ვითარებაში. დღეს ვერც ერთ ერს ვერ შეუძლიან პოლიტიკური არსებობა, თუ მან თავისი ვითარება მხოლოდ თავის ადგილობრივ უშუალო სივრცეს საზღვრებით შემოფარგლა და ჩაკეტა.

ჩამოთვლილ საერთო ზაზების — გათვალისწინებას შემდეგ, შეგვიძლიან გადავიდეთ თვით მდგომარეობის შეფასებაზედ.



მსოფლიოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა არის უშუალო შედეგი და უკანასკნელი დამასრულებელი დასკვნა იმ მძაფრი ეროვნული აგრესიისა, რამელმაც, უკვე მესამე საუკუნეა, აწარმო-

გებს კონტინენტის გააფთრებელი იმპერიალიზმი. ისტორია არა ერთხელ ყოფილა მოწამე რომელიმე მძლავრი ერის დამპყრობელ აგრესიისა; მაგრამ ესეთი ხანგრძლივი შეტყირებელი დამპყრობითი მოქმედება, წარმოებული რომდენიმე ერის მიერ ერთ დროულად, რომელიც ამ მიზნისთვის იყენებს უმალღესათ განვითარებულ ცივილიზაციის ყველა საშუალებებს — პირველი შემთხვევაა კაცობრიობის არსებობაში.

ამ აგრესიის პირველი მიზანი არის გაბატონება ევროპის და აზიის კონტინენტზედ. ეს სივრცე წარმოადგენს მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს აუზს და დღევანდელ კულტურის და ცივილიზაციის აკვანს. ის ერო, რომელიც დაიპყრობს ამ სივრცეს, უკვე გზას იხსნის მთელ დედამიწის ზუგზუგზედ გაბატონებისაკენ. აი ეს არის ამ მძაფრი იმპერიალიზმის უკანასკნელი და უმალღესი მიზანი.

ძველ და ახალ ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ ყოფილა მგავლითი აზიის ან ევროპის უმეტეს ნაწილის დამპყრობისა. მაგრამ სრული გაბატონების მგავალითა მთელ ამ სივრცეზედ ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

ამ მიზნის მიღწევას დროგამოშვებით სცდილობდნენ აზიის და ევროპის სხვა და სხვა დამპყრობელი ერები. ეს ცდანი — დანარჩენ კაცობრიობას და მის განვითარებას ომების სერიის უბედურებად იტყდებოდნენ თავზედ, ხოლო თვით ამ დამპყრობელ ერებისთვის კი თავდებოდნენ მუდამ დამარცხებით და მუდმივი დაქინებით.

წარსულში, დამპყრობელ ერთა აგრესიის მძლავრი აღმოზეთქვანი, შედარებით იშვიათი მოვლენა იყო და კაცობრიობის უმეტეს ნაწილს ჰქონდა შშვიდობიანი ცხოვრების სამყოფი გრძელი ხანა თავის განვითარებისთვის.

რასაკვირველია, ეს არ შეეხება იმ ადგილობრივ ომებს, რომლებიც მუდამ სწარმოებდნენ მუშობელ ერთა შორის, რაც საუბედუროთ, დედამიწის ზუგზუგზედ ნორმალურ მოვლენადაა ცნობილი.

კონტინენტზედ ჰეგემონიისთვის ბრძოლამ სახიფათო სახე მიიღო ისტორიის უკანასკნელ ხანაში, სახელდობრ მეზვიდმეტე საუკუნის ბოლოდან, ხოლო დღეს თავის განვითარების უკანასკნელ საფეხურზედ მან მთელი მსოფლიოს კულტურული და ცივილიზაციური არსებობა უშუალო კატასტროფის წინ დააყენა.

პირველი სახელმწიფო, რომელიც ხსენებულ ხანაში ეცადა ამ მიზნის მიღწევას, ოსმალეთი იყო. მისი ცდა დამთავრდა 1683 წელს ვენის კედლებთან ყარა-მუსტაფას ლაშქრის კატასტროფით.

ეს მომენტი შეიქმნა ოტომანთა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერების უმალღეს წერტილად. ამის შემდეგ დაიწყო ამ სახელმწიფოს მძლავრი და ჩქარი დაქანება. დღეს ოსმალეთი თითქმის თა-

ვის ეთნოგრაფიულ საზღვრებში იმყოფება და მისი პოლიტიკურ პრინციპობა, იმავე მუქარის ქვეშ იმყოფება, რომელიც დღეს თანაბარ საფრთხეს წარმოადგენს კონტინენტის ყველა ერისათვის — ეს არის რუსეთი და მისი ეროვნული აგრესია.

შემდეგი სახელმწიფო, რომელმაც დაიწყო ბრძოლა თავის ჰეგემონიის დამყარებისთვის, საფრანგეთი იყო. ამ მიზნისთვის საფრანგეთმა ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ უკანასკნელ ბურბონების მეფობის ხანაში. ეს აგრესია დროებით შეაჩერა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, მაგრამ მან მალე იფეთქა ახლათ, სრულიათ უცნობ სტიქიური ძალით.

დასაწყისში რევოლუციონერი საფრანგეთი იბრძოდა მხოლოდ თავის თავდაცვისთვის, მაგრამ ამ თავდაცვის სახელით ძლიერ მალე გადააქდინა მან თავისი დროშები საერთო საზღვრებს.

პირველად ეს დროშები მართლაც თვალწარმტაცი ლოზუნგებით ეკლენებოდნენ ყველას: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“... ამ ძახილს დიდის სიმძლავრით გამოეხმაურა მაშინდელ ევროპის უმეტესი ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იყო თავის მდგომარეობით.

ამით დაიწყო გრძელი და ხანგრძლივი რიგი ომებისა, რომელიც შეიქმნა პირველ ნიმუშად იმპერიალისტურ აგრესიისა. იგი შეიცავს ყველა დამახასიათებელ თვისებებს ამ მოვლენისა — მის მიზნებს, მეთოდებს, საშუალებებს და აგრეთვე შედეგებს ამ ბრძოლისა ყველა მონაწილე ერებისათვის.

რას წაჩოადგენდა მაშინდელი ევროპის სურსათი? მთელი იტალია ზელოვნურათ იყო დაყოფილი რამოდენიმე პატარა სახელმწიფოდ, ხოლო მისი უდიდესი ნაწილი იმყოფებოდა ავსტრიის მონობის ქვეშ.

ბელგია ვერ ურიგდებოდა პოლანდიის ბატონობას და დაეძებდა ყოველგვარ საშუალებას ამ ბატონობიდან გასანთავისუფლებლად.

ყველაზე დიდ ღელვას და ბრძოლით გატაცებას განიცდიდა პოლონეთი, რომელიც გაყოფილი იქნა სამ მეზობელ სახელმწიფოთა შუა და ევროპის პოლიტიკურ რუკიდან სულ რამოდენიმე წლის წინ იქნა ამოშლილი ზელოვნურათ.

მთელი ეს ასაფეთქებელი მასალა დიდის ალტაცებით შეეგება საფრანგეთის წინსვლას, რომლიდანაც მოელოდდა მკვეთრათ ჩამოყალიბებულ გაცრედიანს ევროპის რუკისა.

რასაკვირველია, მთელი ეს მასა განიცდიდა აგრეთვე შინაგან რევოლუციების საჭიროებას, მაგრამ ამ საკითხს არ ეჭირა პირველი ალიგი.

იტალიის ერი გატაცებული იყო ეროვნულ განთავისუფლების და გაერთიანების სურვილით. აქ შინაგანი წყობილება თავის თავით მეორე ხარისხოვანი საკითხი იყო. მის გაერთიანებას წინ ეღობებოდნენ მხოლოდ ავსტრიის ოკუპაცია და გამეფებული პატარა დინასტიები.

ეს ბუნების ნორმალური წესია, რომ ერს რომელიც ახერხებს განთავისუფლებას გარეშე ძალების ბატონობიდან, არა სჭირია შინაგან წყობილების წინ წასაწევი სამოქალაქო ბრძოლა. ესეთი ერი გარეშე ძალების თავიდან მოწყვეტისთანვე ერთად, იშორებს აგრეთვე შინაგან წყობილების დაძველებულ დაბრკოლებებსაც.

დაძველებული წყობილება წარმოადგენს მხოლოდ ოკუპანტის ბატონობის საფუძვლებს. მაგალითად ყველა იმ ტრეზმა, რომელითაც თავისუფლება მოიპოვეს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, როგორც: საბურძნეთი, სერბია, ბელგია, ბულგარეთი და სხვანი, თავიანთ დამოუკიდებელი არსებობა დაიწყეს იმ დროის ყველაზედ პროგრესიულ-სახელმწიფოებრივი წესწყობილებით.

ესეთივე იყო იმ ეპოქად პოლონეთის მდგომარეობაც. იგი იბრძოდა მხოლოდ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად. შინაგან წესწყობილების მხრივ, პოლონეთის ე. წ. მესამე მანისის კანონიერი კონსტიტუცია უფრო შემარჯებენ და პროგრესიული იყო, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის მერე შექმნილი, რომელთავე სახე სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა.

აგრეთვე ეროვნულ სახის გადაჯვუფებას მოელოდნენ საფრანგეთის მოქმედებიდან ისტორიული სახელმწიფოები, რომელნიც უკმაყოფილნი იყვნენ ჰოპენცოლერების და ჰაბსბურგების დინასტიური პოლიტიკით.

აი, ამ მძლავრ ეროვნულ მოძრაობამ შექმნა რევოლუციონერ საფრანგეთის იმპერიალისტურ აგრესიის სამხედრო ძლიერება.

დასაწყისში ამას ერთგვარი შემთხვევის ხასიათი ჰქონდა. შემდეგ საფრანგეთის სხვა და სხვა დროის მმართველები შევსებით და განზრახ იყენებდნენ საკლთარ იდეოლოგიის ატრაქციულ თვისებებს, რომელიც სხვა ერების მიერ მიღებულ იყო არა შინაგან კლასობრივ ჩარჩოებში, არამედ ეროვნულ თავისუფლების, თანასწორობის და ერთიანობის ნიადაგზედ. ამ მოვლენამ შეაბა საფრანგეთის სამხედრო მანქანაში, თათქმის, ყველა უკმაყოფილო და დაპყრობილ ერთა სამხედრო პოტენციალი. ამით შეიქმნა საფრანგეთის სამხედრო ძლიერების წარაყენებელი.

სადაამდის გაგრძელდა ეს? თავის ეროვნულ დაპყობითა პოლიტიკის განხორციელებისთვის, საფრანგეთი დიდ ხანს ხმარობდა რევოლუციის ფორმას და მის წარმატებულ ლოზუნგებს. მაგრამ, უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში არავისთვის აღარ წარმოადგენდა საიდუმლოებას, რომ ეს მხოლოდ ყალბი პოლიტიკური მანევრი იყო. ამის გამო ჩამოშორდნენ მას ყველა თანამებრძოლი ერნი და ამასთან ერთად დაიწყო ჩაქრობა საფრანგეთის ძლიერების შარაყენებელიც.

მიუხედავად ნაპოლეონის სამხედრო და პოლიტიკური გენიოსობი-

სა, მთელი ეს ძლიერება მალე დაქანდა უფსკრულისაკენ და განივდა ვატერლოოს ველზედ.

იქ, სადაც არ არსებობს ბრძოლის მკვიდრი იდეური ნიადაგი, პოლიტიკური თუ სამხედრო ნიჭი მხოლოდ უბრალო თვალთმაქცობა და ვეაშაზობაა, რომელიც ადრე თუ გვიან განმანადგურებელი კატასტროფით უნდა დამთავრდეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვ. ნა - ლი.

„კომუნისტური მანიფესტი“ და საბრძოლველი ტრაქედიკა

კ. მარქსი.

როდესაც ეს თუ ის პიროვნება რაიმე ღირებულებას ქმნის პოეზიაშია ეს თუ ზელოვნებაში, ფილოსოფიაში თუ პოლიტიკაში — მას ავტორის კერძო პიროვნული დალი აზრს. ბუნებრივია ამ გზას ვერც კ. მარქსი აცდებოდა. კ. მარქსის, როგორც პიროვნების საუკეთესო დამახასიათებელი, მისი „კომუნისტური მანიფესტი“ა. ის მისი სულია და ხასიათის სარკეა. მასში არ სჩანს ადამიანის სულის შეგნების უნარი. დიდ ღირებულებათა შესაქმნელათ, აი ეს ადამიანის სულის შეგნების უნარია საქირა. მას ვისაც ადამიანის რაობა ესმის, მას ვისაც ადამიანის სულის შეგნების უნარი აქვს — სულით ფაქიზი, კაცობრიობის გულწრფელად-პუშანისტი და თუ ასეთს ოდესმე თუ რაიმე მოძღვრება შეუქმნია — მის მოძღვრებაში ის ბოროტებას ებრძვის გულწრფელი წესებით და ერთის უბედურებაზედ მეორეს ზედნიერებას არ აშენებს — როგორც მარქსიში. მისთვის ადამიანი უმაღლეს ღირებულების მატარებელია; მას არ შეუძლია ადამიანთა შორის სისხლის ღვრა იქადაგოს და ადამიანს წაართვას ის, რის მიცემას მისთვის, ადამიანის ძალ-ღონეს აღმატება. ასეთი რამ შეუძლია ჩადინოს ან იქადაგოს მხოლოდ ვაბაოტებულ პიროვნებას და შურთან ადამიანს.

უნ იყო კ. მარქსი, რომელიც „კომ. მანიფესტში“ ძალმომრეობას და მასიურ ტერორს ქადაგებდა? იყო ის თვით ბოროტი ბუნების ადამიანი, თუ რაიმე ისტორიული საფუძველი ედო მის ასეთ ვაბაოტებას? ორივე თუზის დასამტკიცებლათ აუარებელი მოსაზრებათა მოყვანა შეიძლება. მისი თანამედროვეები მას ახასიათებენ, როგორც უბედურს და პატიმოყვარეს. „მარქსზედ არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი აქტი, იყო ნაკარნახები მხოლოდ უნდავარო ვანების (რეზონ) მიერ. ის იყო ძლიერი გრძნობით ნაკარნახები.

ეს გრძნობა იყო შური. თავის ოჯახის გარეთ, ის იყო უსაცუარლო ადამიანი — ჯიუტი, გულჩახვეული, მძულვარე (პაისორ) და შტრაინი. თავისიანების გარდა ის არავის არაფერს აპატებდა და ყოველთვის სამაგიეროს გადახდას ცდილობდა. არიან ადამიანები, რომელნიც მთელი თავის სიცოცხლეში სიყვარულსა და სათნობას ქადაგებდნენ. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა მოქმედება შურით საზრდოობს და შურითვე თავდება. ასეთი იყო მარქსი. დასარწმუნებლათ საკმარისია წაითხოთ მისი „კორექციონდენცია“ — ამბობს ოგიუსტ ენნიგი¹⁾ — გლობალური მუშა მასონი, მუშათა ფედერაციის თავმჯდომარე. სოციალური შეცოდება ე. ი. რასაც დღეს სოციალურ გრძნობას ვუწოდებთ მარქსს, არას დროს არ უგრძენია. ის არ გრძნობდა, როგორც მუშა, მისი გული მათთვის არ ძვერდა. თუ მან მუშისაკენ პირი იბრუნა, მიტომ, რომ ის მას სჭირდებოდა, როგორც გიგანტური ძალა შტრასსა და არცე-დარევის დასათესათ. მას ეზიზღებოდა სახელმწიფო, რელიგია და ყოველგვარი მაღალი ღირებულებანი. მისთვის არ არსებობდა არაერთი სულიერი საწყისი. ეკონომიური ინტერესი მისთვის იყო — გასაღები ყოველი დროსა და ყოველ სოციალურ სფეროსა. „თუბა, რომელიც მარქსმა ახალგაზდობაში დასწერა ებრაელებზედ, უარესად წმინდა ეკონომიურ და უტილიტარულ თვალსაზრისით აშუქებს ყველაფერს“ ამბობს ფილდინგი.

მარქსს ეზიზღებოდა ყოველგვარი ავტორიტეტი. ერთად-ერთ ავტორიტეტათ თავის თავი მიჩნდა. მასში განვითარებული იყო სიმულელიის გრძნობა. მარქსს ეზარებოდა ინგლისის მუშები; მიუხედავად იმისა, რომ მარქსმა 30 წელიწადი იცხოურა და იბრძოლა ინგლისში — ინგლისის მუშათა მოძრაობამ მხოლოდ მისი სახელი დამახსოვრა და სხვა არაფერი. როდესაც მარქსმა ინტერნაციონალში გეგმონიის პროტესტი გამოიტანა და ინტერნაციონალი დაშლილ იქნა, ეს პირველი შემთხვევა არ იყო. ის ყოველთვის ცდილობდა მუშათა, მოძრაობაში დაშლილობა შეეტანა, თუ თავის გაველენის ორბიტაში არ მოექცეოდნენ. ამ ნიადაგზედ დააწყო პირველ ინტერნაციონალის დაშლა. 1865 წლიდან 68 წლამდე მან აშკარა განხუთქილების სახე მიიღო. ჯერ კიდევ გააგის კონფერენციამდე — ამბობს ლუი ბურტრაინი — სადაც მარქსისტული დიქტატურა უნდა გაებატონებიათ, ბელგიის მუშათა ფედერაციამ, ასეთ დიქტატურის წინააღმდეგ გაილაშქრა და აზრი გამოსთქვა, რომ ინტერნაციონალი „დესპოტიურის საზოგადოება“ კი არ უნდა იყოს, არამედ ავტონომიურ, სექციათა ფედერატიული დაჯგუფება“ — ი. გააგის კონფერენციის წიმღვე ბელგიის სოცია-

¹⁾ იხ. Du proletariat à l'état ouvrier, გვ. 67.

ლისტებმა მარქსის წინააღმდეგ სასტიკი რეზოლიუცია გამოიტანეს ბრიუსელის კონგრესზედ (24-25 დეკემბერს 1872 წ.). მარქსმა ბელგიელებს სამაგერო ვადაუნადა და ისინი ახლად დაარსებულ ნიუ-იორკის მარქსისტთა გენერალურ საბჭოდან ცარიცხულ იქმნენ (ვან-ჟანს).

ასეთი მაგალითები? უამრავია, რომელიც მარქსის დიქტატურულ და დაუნდობელ ბუნებას ამტკიცებენ. მისი მოძღვრება მის ბუნებიდან გამომდინარეობს და მის პიროვნულ ხასიათს ატარებს, რაც აგრეთ უნებშათ „მანიფესტში“ სჩანს.

მარქსი „პროფიტორი“ იყო და ეს არც საკვირველია იმ ადამიანი-საგან, რომელსაც ყოველგვარი სულიერა საწყისი ეხარებოდა და ყველაფერს „ეკონომიური“ და „უტილიტარული“ ადლით უდგებოდა. ამ ნიადაგზედ ის საჩქმუნობასაც კი იცვლის. „ურწმუნო“ მარქსი, მორწმუნე ურწმუნოთ ხდება. იმ ეპოქაში ყველაზედ დიდი ყურადღება საჩქმუნობას უფრო ექცეოდა, ვიდრე უცხოელობას და ამ მარქსი თავის მამა-პაპათა საჩქმუნობაზედ ხელს იღებს და იწათლება—საჩქმუნოებით პროტესტანტი ხდება; მარქსი საერო ცხოვრებაში პროტესტანტი, სოც. ცხოვრების პროტესტანტი, სახელმწიფოსა და სამშობლოს პროტესტანტი—გაზდა მარქსისა და მაქსიზმის, რომელმაც ის მუშათა კლასს თავზედ მოახვია. „რჩეული ხალხი, რჩეული კლასი—პროლეტარიატი“²⁾.

✽

მარქსისტულ დოქტრინისა და „კომ. მანიფესტის“ ასი წლის თავი (1847-48) საქართველოს მესაფლავეებმა, რომლის განხორციელებიდან თავის რუსეთში მილიონობით ადამიანები სისხლში ჩააღრჩვეს და საქართველო აიკლეს, სადაც ყოველი კეთხე მამულე-შვილთა დახვერტილ გვამებით მოკირწლეს—მოსკოვის სატრავებმა ღირსეულთა იღლესა სწაულეს—პრესაში, სიტყვით და საქმით. ეს არც ისე საკვირველია... საკვირველი ისაა, რომ ემიგრაციაში ბ-ნი ნ. ჟორდანიძე თავის ორგანოშიც „კ. მანიფესტი“-ს ასი წლის თავს დღესასწაულობს—მას ათი გვერდი უძღვნა. ამ ათ გვერდზედ ვერც ერთ გვერდს ვერ ნახავთ, რომ ბ-ნი ჟორდანიძე, ცხარე ცრემლებს არ აფრქვევდეს—რომ ევროპის სოციალისტებმა, „მანიფესტს“-ა და მარქსიზმს უღალატენ“-ო. მარქსიზმმა თავებრუ ქართველ და რუსის სოციალისტებს დაასხა, ხოლო ევროპის სოციალისტები კი მის პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარებას საბუჯო და კრიტიკული თვალსაზრისით უყურებდნენ და ეს იქვი რუსეთში მომხდარ ცდებმა საესებით გაამართლა.

²⁾ იხ. პრ. Luis Rougier — Les mystiques économiques.


მარქსიზმის ქადაგება ჩვენ არას დროს ეროვნულ საქმეთ არ მიგვაჩნდა და ამ იდეების ქადაგება არც დღესაა ეროვნული საქმეთს რომ ასე არ იყოს, ჩვენს ემიგრაციაში ყოფნას, აღბათ ადგილი არ ექნებოდა. საკვირველია ის, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანიას, რომელიც „ძალადობას“, მარქსისტულ იმპერიალიზმს და პროლეტარიატის დიქტატურას გამოექცა—დღეს ის კვლავ ამ „ძალადობას“, იმავე სოციალურ რევოლუციას და პროლეტარიატის დიქტატურას ქადაგებს.

არის თუ არა სამართლიანი ბ-ნ ნ. ჟორდანიას საყვედური ევროპის სოციალისტებისადმი რაიმე საბუთით გამართლებული? შეიძლება თუ არა, ევროპის სოციალისტებს გვერდი აუხვიათ — როგორც ამას ბ-ნი ჟორდანიას ჩადის—მარქსისტულ სოციალიზმის განხორციელების იმ ბუზბერაზ და არა ადამიანურ ცდებს, რომელსაც რუსეთში აქვს ადგილი? ამის გასარკვევათ მოკლეთ გადავავლოთ თვალი ევროპის სოციალისტურ ისტორიას.

სხვა და სხვა ეპოქებში და სხვა და სხვა ქვეყნებში, ჩვენ ვიცით, რომ ერთი სახის სოციალიზმი არ არსებობს, არსებობენ სოციალიზმები — სხვა და სხვა ხასიათისა და ტემპერამენტისა, ინტელექტუალურ ფორმაციისა და სხვა და სხვა მორალის, რომელსაც ამა თუ იმ ერის ცხოვრების და ხასიათის დალი აზის. აგრეთვე მარქსი და ენგელსი სწამდნენ, რომ სოციალიზმი არ არის ერთი („მანიფესტი“, გვ. 28-35). არსებობს ფრანგული სოციალიზმი, ინგლისური, იტალიური, ესპანური, ირლანდიური, ბელგიური და... „გერმანული“ ანუ მარქსისტული სოციალიზმი—ყველაზედ უფრო უხეში, ვულგარული და იმპერიალისტური.

ყოველი სოციალიზმი შემოსილია ამა თუ იმ ხალხის თუ ეროვნებათა სხვა და სხვა ხასიათის ფორმებში: კოსმოპოლიტური და ნაციონალისტური, ლიბერალური და ოტორიტარული, დემოკრატიული და ოტოკრატიული, რელიგიური და ათეისტური — ეროვნულ ბუნებისა და ისტორიას მიხედვით, რომელთაც ხშირათ არაერთი საერთო არა აქვთ სოციალიზმთან³⁾. არსებობს ქართული სოციალიზმი? არა. მიუხედავად იმისა, რომ მარქსისტულ სოციალიზმმა პრაქტიკულ ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მარცხი განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ თვით ბ-ნი ჟორდანიას ამ მარცხის ობიექტი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ თვით საქართველოც და მისი სოციალური სტრუქტურა, მარქსისტულ სოციალიზმის ტერორმა და იმპერიალიზმმა იმსხვერპლა ბ-ნ

³⁾ სოციალიზმი მეტის მეტად ბუნდოვანი მცნებაა, ის ბევრს თავისებურად ესმის.



ჟორდანია მ დასკვნები არ გააკეთა. ამ უტოპიის—მარქსისტულ სოციალიზმის ექსპერიმენტებს გვერდი აუხვია და ისევ ეითომ არაფერი მომზადა ჩიყოს, ისევ ძველებურათ — სოციალურ-რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურას ქადაგებს. ამ რუგათ ბ-ნი ნოე ჟორდანია უცვლელათ ბოლომდე ამ უცხო მოძღვრების მამა-მთაფრათ იჩიება — რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს არც ქართულ ისტორიასთან, არც ქართულ სულთან და მის ზასიათსა და ტრადიციებთან.

ბ-ნ ჟორდანია, „პროლეტარიატის დიქტატურა“ მმართველობის უფრო უცუდესი და მაშასადამე უფრო უბეში ფორმა ვიდრე ოდესმე ან არსებულა და ან დაწერილა. „კომ. მანიფესტი“ დებულება „... ორგანიზაცია პროლეტარიატის კლასიურ პარტიათ, დამოხმა ბურჟუაზიის ბატონობის, დაპყრობა პოლიტიკური ძალა-უფლების პროლეტარიატის მიერ“ („ჩვენა დროსა“, № 1, გვ. 25). ბ-ნ ჟორდანია სიტყვით თითქოს „პირდაპირ ეწინააღმდეგება“ რუსულ სოციალიზმის „ლენინურ თეორიას რევოლიუციონურ ინტელიგენციის მეთაურობას და ბატონობას“, მაუხედავთ იმისა თუნდაც ეს რევოლიუციონურა „ინტელიგენცია“ იყოს პროლეტარულა და პროლეტარია ინტერესებს დამცველი? მაშასადამე „დიქტატურა“ ხელში უნდა ჰქონდეს უშუალოთ პროლეტარიატს და არა მის მოწინავე ელემენტებს, რადგან მას ბ-ნი ჟორდანია უნდობლობას უცხადებს. ვინაა პროლეტარა, რომელსაც ასეთ მისიას ავალუმს ბ-ნი ჟორდანია — რომელმაც განათლებულ კაცობრიობაზედ უნდა იბატონოს, მართვა-გამგეობის უსუდეს ფორმაში? საუბედუროთ პროლეტარიატი ეს ისეთი სუბიექტია, რომელიც მშობია და მწყურვალა, უსახლ-კარა, ძლივს შემოსილი, გაუნათლებელი, უაღრესად უბედური და ამიტომაც მეტის-მეტად გამორჩეულად ნაწილია კაცობრიობის, რომელსაც რა თქმა უნდა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს გაუმჯობესებულ ცხოვრების პირობებში. პროლეტარა - გაუნათლებელი, სახეირათ წერ-კითხვის უცოდინარი და კიდევ მეტა — რომელსაც მარქსიზმის ანა-ბანა არ ესმის, პირდაპირ ქარხნის დაზვიდან სახელმწიფოს სათავეში უნდა მოაქციოს ბ-ნ ჟორდანია. როგორ უნდა განახორციელოს მან მარქსისტული სოციალიზმი, როდესაც მას ეს „მეცნიერება“ არ უსწავლია? როგორ უნდა უხელმძღვანელოს სახელმწიფო ფინანსებს, გაგვეზილ მეურნეობას, სწავლა-აღწრდის საქმეს და აღმშენებლობას? ხომ ვიცით რა დაემართა ამ საკითხში რუსეთის „რევოლიუციონურ ინტელიგენციას“? რა მოუვა რევოლიუციონურ პროლეტარიატს? ამაზედ ლაპარაკი რა თქმა უნდა ამსურდია. ასეთ უგუფისათვის ხელისუფლების ხელში ჩაგდება და ისიც ამ ეპოქაში, როდესაც „კომ. მანიფესტი“ იწერებოდა, ნიშნავს იგივეს რაც ურთმა ბერძნის მძიქენმა სთქვა — „სულ ერთია

გეთისათვის, ვინდ ხელისუფლება მიგვიცია და ვინდ ხმალი“-ო. ყოველ პარტიას (თუნდაც მარქსისტულს) თავის ხელმძღვანელი, თავის „ინტელიგენცია“ აკაცს, რომელიც სახელმწიფო სათავეში ექცევა ისე, როგორც ბ-ნი ჟორდანია—ინტელიგენტი—მოექცა საქ. სახ. სათავეში და არა რომელიმე იქსი—უსწავლელი ქარხნის მუშა. ამ საკითხში ბ-ნი ჟორდანის შეხედულება უფრო წაგავს არა პოლიტიკურ პარტიის მოღვაწის შეხედულებას, არამედ სინდიკალისტებს, სადაც რევოლუციონური სინდიკალიზმი სასტიკ ოპოზიციაში უდგას „პროლეტარულ სოციალიზმს“¹⁾ და უარყოფს კლასთა ბრძოლის თეორიას. „პოლიტიკურ სოციალიზმს კვარცხლ ბეჭედ აკაცს ინტელიგენტთა (ინტელექტუელ) გენერალური შტაბი, რომელსაც პროლეტარული არაფერი აქვს—სმყარებენ მუშათა დიქტატურას და მატყუარა ფრაზეოლოგიით მუშათა მასას აცდენენ თავის გზას“, ანდა „სოციალისტური პარტია—მარქსისა და ენგელსის „კომ. მანიფესტის“ მიხედვით—იბრძვის ხელისუფლების დასაპყრობათ, რომელსაც სწამს სახელმწიფოს უზენაესობა“. რევოლუციონური სინდიკალიზმი უარყოფს სოციალურ რევოლუციას. „ჩვენი მიზანი სრულადაც არაა ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამხობა და მის ნანგრევებზედ სოციალისტურ სახელმწიფოს აგება“ ეს მათ წყლის ნაყვად მიიჩნიათ, რადგან „ყოველი სახელმწიფო ცუდია, სახელმწიფო ნიშნავს ავტორიტეტს, დომინაციას, მასზედ „ზოგიერთ“ პიროვნებათა გაბატონებას. პოლიტიკურ სოციალიზმის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელში უდღებს ძალა-უფლებას ლიდერებს და როგორც კი სახელმწიფო იბადება, მასთან ერთად ჩნდება უთანასწორობა, ჩაგვრა და ექსპლოატაცია“²⁾

როგორც ვხედავთ რევოლუციონური სინდიკალიზმი, არა მარტო წინააღმდეგია ხელის-უფლება მუშათა კლასმა აიღოს ხელში, არამედ აგრეთვე წინააღმდეგია ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდეს სოციალისტურ და მით უმეტეს მარქსისტულ პარტიას და მის ლიდერებს—პარტიულ „რევოლუციონურ ინტელიგენციას, ისე როგორც ბ-ნი ჟორდანია წინააღმდეგი, მაგრამ ბ-ნი ჟორდანია ხომ სინდიკალისტი არაა და მეორე, სინდიკალისტები თვით ხომ სასტიკი წინააღმდეგნი არიან სოციალურ რევოლუციისა და „პროლეტარულ სახელმწიფოსა“?

ფრანგული სოციალიზმი.

მარქსისტული სოციალიზმი მტერია საშუალო კლასის — ეაქრების, გლეხების, ხელსნების... „ისინი—ამბობს—„კომ. მანიფესტი“ რევო-

1) Hubert Lagardelle, Le socialisme ouvrier.

2) იხ. Eduard Berth., Le maifait des intellectuels, გვ. 195.

ლაუციონერები არ არიან, არამედ კონსერვატორები და კიდევ შერტი, ისინი რეაქციონერები არიან; მათ უნდათ ისტორიის უკუღმა შერტიალება... ისინი რევოლუციონერება ხდებიან შიშით“—ო. ამ რიგად ჩვენ ეხედავთ, რომ მარქსისტული სოციალიზმი უპირდაპირდება გარდა „პროლეტარიატისა“ მოსახლეობის ყველა დანაწიენ ფენებს, რის სრული განხორციელება რუსეთში მოხდა: „კერძო ვაჭრობის მოსპობა, გლეხების კოლხოზებში შერევა; „კულაკების“ გაციმპირება და სხვა და სხვა. თამანდროვე განათლებულ ქვეყნებში დღეს ჩვენ ეხედავთ, რომ—საშეალო კლასი შიშით, როგორც ამას „მანიფესტი“ ამბობს—რევოლუციონერები არ გამხდარიან და არც საქართველოსა და რუსეთში, სადაც „პროლეტარიატის დიქტატურა“ უკვე არსებობს, მანინ პაროქით „მარქსისტულ სოციალიზმს“ გაბედულათ შეებრძოლენ და სწორაყთ ამით აიხსნება ასეთი დიდი მსხვერპლი „პროლეტარულ“ დიქტატურის სამყაროში. ავრეთვე ევროპაში—საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ბელგიაში და ყველგან — სოციალურ რევოლუციის შიშით პირიქით, ებრძვიან მარქსისტულ სოციალიზმს და არა მისი შიშით რევოლუციონერება ხდებიან.

მარქსი მუშათა კლასის და მოსახლეობის უმრავლესობის გაღარიბებას და საშეალო კლასის ვაჭრობასაც წინასწარმეტყველობდა, მაგრამ მისი პროგნოზი არ გამართლდა—მოხდა პირიქით. ჩვენი ეპოქის მუშები მესაკუთრენი ხდებიან და ისინი გაცილებით უკეთესათ ცხოვრობენ, ვიდრე „კომ. მანიფესტის“ ეპოქის (1848) ბურჟუები და რომ მათი „პალეორიზაცია“ არ მოხდა. რაც შეეხება საშეალო კლასს, არა თუ არ ვაქრა, პირიქით — გაიზარდა და ამ რიგად კაპიტალიზმის განვითარებამ ეს სამი კლასი — პროლეტარო, დაბალი და საშეალო—დააწინაურა და ნიეთიერთად გააძლიერა და არა პირიქით, როგორც ამას მარქსი ამბობდა... ამიტომ არიან ევროპის სოციალისტები „სოციალურ რევოლუციის“ წინააღმდეგნი და რეფორმისტები.

„ჩვენი პარტიის მიმდევრები—სწუხს ცრთი საუკეთესო თეორეტიკოსთავანი საფრ. სოციალისტურ პარტიის—არიან წერილი მესაკუთრენი, წვრილი ვაჭრები, მოხელეები, ინტელეგენტები და მუშები. ამათა ცდა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ვაგერმანელების (ტ. ი. ვამარქსისტების ე. შ.), გერმანულ სოც. დემოქრატიის მოდელის გადმოღებით და მარქსის რამოდენიმე ფორმულის ქადაგებით; ეს არ ეკარება ფრანგულ ბუნებას, ფრანგულ სოციალიზმს. ფრანგულ სოციალიზმი გაქედნთილია დემოქრატიული იდეალიზმით, რაციონალიზტურ და საერო მისწრაფებებით, რომელიც განსაკუთრებით მრავალმა თაობებმა ჩაქსოვენსოციალურ რეალობაში...“⁶⁾.

⁶⁾ იხ. J. B. Severac, Mouvement socialiste, გვ. 155, 157 - 8. გარდა

აი ამიტომ არ შეიძლება ფრანგი სოციალისტები კოლექტიურ ტერორის, ძალმომხრების ე. ი. სოციალურ რევოლუციის მომხრენი იყვნენ. ბ-ნი ნოე ეორდანია სცდება ჩოდესაც ამბობს, რომ მათი „მარქსიზმის ნიადაგზედ“ გადაყვანა შესაძლებელი იქნება. ფრანგი სოციალისტები ფრანგულ ტრადიციულ სოციალიზმის გზით მიდიან. ის აშკარა ეროვნული და პატრიოტულია. აუარებელი ტექსტების მოყვანა შეიძლება, ფურჩის, კაბესი, პრედონის, ლუა ბლანის, აგრეთვე თვით მლანკის, ჟორესის და სხვათა რომელიმე რევოლუციონურ ძალადობას უარპყოფენ და მეთოდურ რეფორმებს ქადაგობენ—მშვიდობიანსა და პრუტრესიულს, რომელიც ყოველგვარ ეტატიზმისა და დიქტატურის წინააღმდეგია. მათი სოციალიზმი მშვიდობიანი და სოლიდარულია. სოციალურ ემანსიპაციას ის ეძებს და ელის საზოგადო ინსტიტუტთა ევოლუციისა და გონებისა და ტექნიკის პროგრესში. რუსეთში—მარქსისტულ სოციალიზმის განხორც. ნიადაგზედ სოციალურ რევოლუციამ, კოლექტიურ ტერორმა და პროლეტარიატის დიქტატურის მარბაროსულ ხასიათმა დააფრთხო და დიდათ ჩააფიქრა ევროპის სოციალისტები. ამ ბუმბერაზ ისტორიულ მავალითის შემდეგ, რომელიც ევროპის სოციალისტებმა საკმაო ძლიერათ შეიგნეს, ბ-ნი ეორდანია ამათ ცდილობს მათი „მარქსიზმის ნიადაგზედ“ გადაყვანას.

საფრანგეთში არის საკმაო ძლიერი წმინდა მარქსისტული ან რეფორმისტული პარტია, რომელიც ინტეგრალურად ღებულაშს მარქსიზმს და „კომ. მანიფესტს“ სოც. რევოლუციის, „ძალადობას“ და პროლეტარიატის დიქტატურას, ისე როგორც „კომ. მანიფესტთან“ ერთად ბ-ნი ეორდანია ქადაგებს... ესაა საფრანგეთის **კომუნისტური პარტია**. ეს ეთანხმება ბ-ნი ეორდანიას ხაზს; და ამ ხაზს, რომ საფრანგეთის ან ევროპის სოციალისტური პარტიები დაჰყენენ რა მოხდება? უნათლოდ სოც. პარტიების კომუნისტურ პარტიებთან შედუღება ან მათი „ძალადობით“ ლიკვიდაცია. აი მხოლოდ ეს ერთი შესაძლებლობაა მათი „მარქსიზმის ნიადაგზედ გადაყვანისა“—დანარჩენი გამორიცხებულია.

ბ-ნი ეორდანია სწერს: „გამოდის რომ ბურჟუაზიული ცარცვა-გლეჯა დადი ბედნიერება კაცობრიობისათვის. ამიტომ არც ერთი სოციალისტური პარტია არ იცავს წვირალ შესაკუთრეთ“ (გვ. 23). ჩვენი პარტია ბურჟუაზიული პარტია არაა და რა თქმა უნდა ჩვენ ყოველგვარ „ბურჟუაზიულ ცარცვა-გლეჯის“ წინააღმდეგი ვართ და

ამისა იხილეთ Alexandre Zévaés — Le socialisme et le communisme en France de 1871-1948.

?) იხ. „ჩვენი დროშა“, № 1, გვ. 30.

ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით), მაგრამ იმავე დროს ჩვენ, უცუდეს ფორმას—პროლეტარულ კოლექტიურ „ცარცვა-გლეჯის“ წინააღმდეგეც ვართ და მას „კაცობრიობის ბედნიერებად“ ვუჩი ჩავთვლით, რომელსაც თქვენ—სოციალისტური რევოლუცია და „პროლეტარიატის დიქტატურა“ იძლევა. აქ ბატონი ეორდანია წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ერთის მხრივ ის ამბობს, რომ „არც ერთი სოციალისტური პარტია არ იცავს წერილ მესაკუთრეთ“ და მეორეს მხრივ, სადაც ის უსაყვედურებს დანარჩენ სოციალისტებს, რომ იმათ „თავი შეაფარეს ბუჩყუაზიულ დემოკრატას“-ო. ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია წერილ მესაკუთრეთ არ ებრძვის და არც ფრანგული, „რეფორმისტული სოციალიზმი“, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, არც ინგლისური, არც ბელგიური და არც იტალიური... გარდა მარქსიზმისა... და ბ-ნ ეორდანისა.

ინგლისური სოციალიზმი

„ლაბურ პარტი“ — შრომის პარტია—სპეციფიურათ ინგლისურში მოვლენაა. მარქსის „კლასთა ბრძოლის“ თეორიასთან მას არაფერი საერთო არა აქვს. ის არც თავის წინაარსით, არც თავის კონსტიტუციით არაფერში არაპგავს გერმანიის სოციალ-დემოკრატის და არც ფრანგულ სოც. პარტიას. მისი სტრუქტურა კომპლექსურია, მისი განვითარების ისტორია უანალოგოაა. „ლაბურ პარტის“ წევრთა უმრავლესობა სოციალისტებიც არ არიან და ვინც არიან, ისინიც მარქსისტულ სოციალიზმის წინააღმდეგნი არიან. მათი სოციალიზმი არაა ათეისტური, მეტათ პატრიოტულია და უფრო კი, მათ უზიზღებათ მარქსისტული „ძალადობა“ და „ყველაფერი ან არაფერი“-ს ტაქტიკა. კარ. მარქსი 30 წელიწადი ცხოვრობდა ლონდონში, ის მუდმივ დამოკიდებულებაში იყო „ტრედუნიონ“-ისტებთან რომ პირდაპირი გველენა მოეხდინა მათზედ, მაგრამ მისი გველენა იყო „ნული“ ინგლისის სანდიკალურ მოძრაობაზედ—ამბობს ე. ვიო. „... ჩვენ ვაღიარებთ ბრიტანეთის ტემპერამენტის კონსერვატიზმს და ვღებულობთ თანამედროვე პოლიტიკურ ინსტიტუტს“— ამბობს სოციალისტი გავან დიუფი. „ლაბურ პარტი“, მხარს არ უჭერს არც ტორიზმს, არც ლიბერალიზმს, არც სოციალიზმს, არამედ მხოლოდ ტრავიზმს—ამბობს კ. პარდი. „მასსა მზათაა მიიღოს ახალი დოქტრინა (სოციალისტური ე. შ.), არა როგორც აბსოლუტური იდეა, არამედ როგორც ექსპერიმენტალურ კანონდებლობის გამტარებელი პრინციპები“ -- ამბობს მაკდონალდი*).

* „ახალი ივერია, №6, 37 წელი.

*) იხ. Macdonald, Socialisme, გვ. 120.

„ტრავაისტური მოძრაობა სოციალისტურ დოგმებს მრწამსად კი არ იხდის, როგორც მოაწმუნენი წმ. ათანასეს სიმბოლოს, ანამედ ჩვენ ეღებულაობთ სოციალისტურ თეალსაზრისს, როგორც მიმითიებელს (გიდ) პრაქტიკულ კანონმდებლობაში¹⁰⁾. ლაბურიზმი უარყოფს მარქსიზმს ისე როგორც ისტორიულ მატერიალიზმის კონცეპციას და კლასთა ბრძოლის თეორიას — რადგან გამოცდილებით „კლასთა შორის ომი არ იძლევა არაფერს“. ტრავაისტები შეუარავებელი მტერნი არიან რევოლიუციონერ მეთოდის: „სოციალიზმი ან პარლამენტის საშუალებით მოვა, ან და სულ არ განხორციელდება ის“ — ამბობს მაკდონალდი¹¹⁾. ტრავაისტები უარყოფენ მარქსისტულ სახელმწიფოს თეორიას, რადგან „სოციალისტური სახელმწიფო სხვა არაფერი იქმნება, გარდა ერთი კლასის ორგანიზაციულ ძალმომრეობისა“¹²⁾.

თანამედროვე სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ერთი კლასის ინსტრუმენტი, არამედ „საზოგადოებრივი ორგანო“, პოლიტიკურს პერსონიფიკაცია სევერენულ ხალხის, რომლის მიზანია კანონმდებლობისა და ადმინისტრაციის საშუალებით გამოსახზოს საერთო ნებისყოფა.

„სოციალიზმს—ამბობს სნოუდენი—საზოგადო საკეთობათ უნდა გადააქციოს მხოლოდ წარმოების ის საშუალებანი, რომელთა წესიერი მოვლა და მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლება საზოგადოებისათვის“¹³⁾. მრავალი ასეთი ტექსტების მოყვანა შეიძლება თანამედროვე სოციალიზმის მეთაურთაგან, რომელნიც მარქსისტულ სოციალიზმს, ძალადობას და სოც. რევოლიუციას, როგორც არა პროგრესულ და ბარბაროსულ მოვლენას უარპყოფენ, გამოზენ და „კენჭაობის“ უპირატესობას სცნობენ „ცივილიზაციის კრიზისის“ თავიდან ასაკლებლად. აი ამიტომ არიან ინგლისის ლაბურისტები „რეფორმისტები“ და მათ—დღეს, როგორც გამბატონებულ პარტიას—არც ერთი „მანიფესტის“ უხეში დებულება ცხოვრებაში არ გაეტარებიათ და არც გაეტარებენ, რადგან ეს მათ ეწიზლებათ.

მარქსისტული სოციალიზმი და დემოკრატია.

მარქსისტული სოციალიზმი დემოკრატიას იტანს, როგორც არსებულ ფაქტს. სინამდვილეში კი ის მას ებრძვის, მას უნდა მისი დაპყრობა და მოსპობა. სანამ ის არსებობს, ის მას ეყენებს, ის მით სარგებლობს თავიანთ იდეების თავისუფლად გასაყრეულბლად და მზათ არის ხელსაყრულ მომენტში წაადრწონ და დიქტატურა დაამყარონ.

¹⁰⁾ იქვე გვ. 163.

¹¹⁾ Syndicalisme, გვ. 6.

¹²⁾ იხ. Snowden, Socialisme et Syndicalisme, გვ. 140.

აკი ბ-ნი ჟორდანია ველზეწებულნი უსაყვედურებს ევროპის სოციალისტებს, რომ ისინი — „გახდენ ტყვე... დემოკრატიული პარლამენტარიზმის, სადაც ყველაფერს სწყვეტს უმრავლესობა, საარჩევნო ბიულეტენები, კენჭობა... მოხსნეს რევოლუცია და დაჯდენ კენჭობის ამარა“—ო („ჩვენი დროა“, № 1, გვერდი 23). ამრიგად ბ-ნი ჟორდანია უარყოფს „კენჭობას“ — დემოკრატიზმს; ქადაგებს სოციალურ რევოლუციას და პროლეტარიატის დიქტატურას. ბ-ნი ჟორდანია თავის ლოლიკაშია — ჩვენ საყვედური არ გვეთქმის—არადგან ის მარქსისტია და როგორც მარქსისტო სხვანაირათ არ შეიძლება აზროვნობდეს, მაგრამ ჩვენ ურთი გვაკვირვებს: რას უსაყვედურებს ბ-ნი ჟორდანია ნამდვილ მარქსისტებს—ბოლშევიკებს? ეს ჩვენ უფრ გავგივია, ალბათ აქ „შეფთა შეჯიბრს“ აქვს ადგილი (არსებობს ასეთი თეორია).

უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სოციალიზმი და დემოკრატია ორი განუყრელი მცნებაა, ან და თქმა იმის, რომ სოციალიზმი დემოკრატიის ბუნებრივი გაგრძელება იყოს.

ყველაზე დიდი (ასა ათასი სული) და ყველაზე საუკეთესო ნიმუში სოციალისტურ განხორციელების, რომელიც ისტორიას ახსოვს, იყო პარაგვაის სოციალისტური სახელმწიფო, დასახლებული გურანის ინდოელებით (1609 - 1848). ამ სახელმწიფოს ისტორია გვიმტკიცებს, რომდენათ ეს ორი მცნება — დემოკრატია და „სოციალიზმი“ ურთი-მეორის საწინააღმდეგო მცნება იყო. „სოციალისტურ სისტემის წარმატება პარაგვაიში—ამბობს რასტული—აიხსნება არა მარტო იმით, რომ ისინი დაშორებულნი იყვნენ ყოველგვარ დემოკრატიზმის ფორმასა და იდეალს, არამედ სრულიად მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ დემოკრატიულ გრძნობებს, რომელნიც მხოლოდ—ტანტროლოდ—იუზუიტების მთავრის განუსაზღვრელ ავტორიტეტს სცნობდნენ¹³⁾. ამ გაუნათლებელ და ჩამოჭრენილ ხალხში სოციალიზმმა ფეხი შოიკიდა. იქ „კენჭობას“ ადგილი არ ჰქონია. ისტორიაში ჰქონდა ადგილი აგრეთვე სხვა პატარ-პატარა ექსპერიმენტებს, რომელნიც ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ სოციალიზმი — ანტი დემოკრატიულია, ანტი ეროვნული და ყოველგვარ თავისუფლების მტერი.

სოციალიზმის განხორციელებას საუკეთესო მაგალითს უახლეს ისტორიაში — მთელი თავის ტრადიკულ მოვლუნებით—განა საბჭოთა რუსეთი არ იძლევა? ამ სოციალისტურ სახელმწიფოში—დემოკრატია სწყვეტის მფრქვეველებით და მათურით უმასპინძლებიან. ნუ თუ ეს მაგალითები არაფერს არ უნდა ეუბნებოდეს, მარქსისტულ სოციალი-

¹³⁾ იხ. Rastouhl, Le Jésuite au Paraguay აგრეთვე Raynal, Histoire philosophique du comerce.

ზმის, კვლავ სოციალურ რევოლუციის, ძალადობის, სამოქალაქო ომებისა და პროლეტარიატის დიქტატურის შქადაცვბელი?

ათ როგორ ისტორიულ გამართლებას აძლევს ბ-ნი ჟორდანია „კომ. მანიფესტის“ მოწოდებას, მუშათა მცირე რიცხვის განათლებულ კაცობრიობაზედ ბატონობას: „ვინც ცოტაოდნით დააკვირდება კაცობრიობის განვითარების ისტორიას, ის ნათლათ დაინახავს ერთ მუდმივ მოვლენას—საზოგადოების მცირე ნაწილის, ერთი კლასის მეთაურობით მთელი ერის გადაწყობას ახალ სოციალურ და პოლიტიკურ საფუძველზე“ და შემდეგ ასკენის: „მაშასადამე მანიფესტის მიმართვა მცირე რიცხოვანი მუშათა კლასისათვის უმეთაურეთ მთელ საზოგადოებასო აღბეჭდავს კაცობრიობის საველ ცზას, მის უკანასკნელ ეტაპს, მოკლებულს ყოველგვარ უტოპიას და გამოგონებას“—ო („ჩუენი დრ.“ № 1, გვ. 21). აქ თვით ბ-ნი ჟორდანია, ისე როგორც „მანიფესტი“, ცდილობს ისტორიის უკულმა შემოტრიალებას. ერთი კლასის — პროლეტარიატის დიქტატურა“ და ისიც მთელ განათლებულ კაცობრიობაზედ — არაა „კაცობრიობის საველი ცზა“ და არც მისი „უკანასკნელი ეტაპი“, როგორც ამას ბ-ნი ჟორდანია „ამტყიცებს“. ეს სწორეთ, რომ უტოპია და ყოველგვარ ნიადაგსაა მოკლებული. წარსული ისტორიული მავალითებით კაცობრიობა სარგებლობს, სწავლობს, მას აკრიტიკებს, დასკვნებთ გამოჰყავს და მაზედ დაყრდნობილი წინ მიდის—ცდილობს უკეთესი საზოგადოებრივი წყობა შექმნას და არა ისტორიის უკან დაუბრუნდეს და სთქვას, როგორც ბ-ნი ჟორდანია ამბობს: რატომ—თუ წინათ ისტორიის ვასწერივ, სხვა და სხვა ეპოქებში სხვა და სხვა კლასი ბატონობდა, უმეიარესობა ჩაგრავდა უმრავლესობას, რატომ დღეს არ უნდა იბატონოს ერთმა კლასმა—პროლეტარიატმა — უმცირესობამ უმრავლესობაზედ? ასე სარგებლობს ბ-ნი ჟორდანია ისტორიით. ასეთი შედარება და მიზანყა — თანამედროვე ცივილიზაციის, კაცობრიობის განვითარებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მაღალ ფორმის სოციალურ, სულიერ და ეკონომიურ სტრუქტურასთან სრულ წინააღმდეგობაშა. პროლეტარულ სოციალიზმის „განსაბოროციელებლად“ და დიქტატურის დასამყარებლად, როგორც „კომ. მანიფესტი“ „გვასწავლის“ საჭიროა: ძალმომრეობა, უბეში ფიზიკური ძალა, სოციალურა რევოლიუცია, ფატალური სტიქია, რომელსაც საზოგადოება უფსკრულანაკენ მიჰყავს—ესაა ზოოლოგია. თვით მარქსი სცნობდა, რომ: „კლასიურა ბრძოლებს შეუძლია დაჩაგრული კლასი ან გამარჯვებამდე მიიყვანოს ან და ის გამოიწვევს საზოგადოების სრულ დაცემას“—ო. „ან“-ზე და მარჩიელობაზედ შეცნიერება არ უმყარება და საჯებისოთ ქადაგება იმის, რაც სპ.

ზოგადობის ან დანგრევას ან აშენებას გამოიწვევს „ყოველგვარ მცურეულ დემონსტრაციის გარეშე“¹⁴⁾.

კლასური ბრძოლები, რომ საზოგადოების დაცემასწავლებს — ეს ცნობილია, მაგრამ თუ მარქსისტულ სოციალიზმის განზოცდებების ცდა უკლებს შედეგებს გამოიღებდა—დაჩაგრულ კლასის გამარჯვება, თუ დაჩაგრულ კლასის დაჩაგრვას გამოიწვევდა—მარქსმა ეს ვერ გაითვალისწინა ისე, როგორც დანაჩენი ბევრი რამ და პროლეტარულ სოციალიზმის განზოცდებების ცდამ ზოოლოგიის ხასიათი მიიღო. ეს მაგალითი „ჩვენი დროის“ მარქსისტებს არაფერს უღებდა?

კაცობრიობის ისტორიაში არა მარტო გონებისა და შემეცნების ფაქტორები ლებულობენ მონაწილეობას, არამედ ზოოლოგიური ფაქტორებიც, რომელთათვისც ძსტორიული გამოცდილებანი არ არსებობენ. სენ-სიმონისტება ამბობდნენ, რომ არს ეპოქები, როდესაც გონებრივი შემეცნება ბნელდება და წარსული გაცვეთილები დაიწყებას ეძლევა—ამ შემთხვევაში მოქმედებს ბრმა ინსტიქტი, შეფდება მასის ჯოფური ფსიხოლოგიის სტიქია, რომელიც ითვისებს და ემორჩილება ამა თუ იმ „კარგად შეკრულ დაჯგუფების ზოოლოგიურ ლოზუნგებსა და მოქმედების მეთოდებს“-ო. დღეს ჩვენ მსგავს ეპოქაში გვიხდება ცხოვრება. ზოოლოგიურ ლოზუნგებით: სოციალური რევოლუცია, სამოქალაქო ომი, ძალადობა, დესპოტია და მასიური ტერორის ქადაგებით „კ. მანიფესტი“ ქვეყნიერებას აფორიაქებს. ესაა მარქსიზმის და „კომ. მანიფესტი“-ს დამსახურება. კაცობრიობის წინაშე, რომელიც ბრმა ინსტიქტსა და ცხოველურ მადს ემორჩილება. ასეთი მოშენებია, რომ არას საშიშო განათლებულ კაცობრიობისათვის, რომელიც იწვევს ცივილიზაციის კრიზისს. თუ კი ევროპამ მარქსისტულ ქაოსსა და „პროლეტარიატის დიქტატურას“ ან და ბ-ნ ეორდანაის „ნამდვილ მარქსიზმის პროგრამას“ (გვ. 28) თავი დააღწია, „აყენენ ლიბერალებს“ და „კენჭობას“, უსათუოდ ცივილიზაციის კრიზისს თავს დააღწევს და არა პირიქით, როგორც ეს ბ-ნ ეორდანაის ჰგონია.

მარქსისტული სოციალისტები გამოდიან რა ზოოლოგიურ ფორმულიდან „რაც უარესი მათ უკეთესი“ ზელოცნურად აღელვებენ მასებს და ცდილობენ ამ მღელვარებას სტიქიური ხასიათი მისცენ. ერთ

¹⁴⁾ მარქსისტული სოციალიზმი, რომ მეცნიერული არ შეიძლება იყოს—როგორც მას ბ-ნ ეორდანაისც უწოდებს—ჩვენ აქ უადგილობის გამო ვერ შევხებით. მოვიყვანთ მხოლოდ ცნობილ მარქსისტის ბურშტეინის აზრს: „სოციალიზმი არ არის და არც შეიძლება იყოს მეცნიერული. სოციალიზმი არის მომავალ სოციალურ წესწყობილების თეორია—ამიტომ ის ყოველგვარ მეცნიერულ დემონსტრაციის გარეშე“. (Socialisme et Science, გვ. 17 - 19).

კლასს უპირდაპირებენ მოსახლეობის ყველა დანარჩენ ფენებს „ეკრძო საკუთრებისა და ბრეტეაზიულ პროდუქციის დესპოტიურ ძალმომრეობით“ გასაუქმებლად¹⁵⁾. განა ეს მარქსისტული გაბოროტებელი დესპოტიური ძალმომრეობა და ტირანია არაა გამეფებული საბჭოთა რუსეთში, რომელმაც მხაგრელი და ჩაგრულაც იმსხვერპლა? თქმა იბისა რომ ბოლშევიკები მარქსისტები და კომუნისტები არ არიან, ეს იწეობდა სიყალბე. ვერ მოგვეცეს სრული სურათი მარქსისტულ სოციალიზმის? მოგვეცეს—„მანიფესტი“ დესპოტიური მეთოდებით მარქსისტულ სოციალიზმის განხორციელების სრული ცდები, მაგრამ სოციალიზმი ცხოვრებაში ვერ განახორციელენ, რადგან ის ადამიანის ბუნებისა და სულისათვის მიუღებელი მოძღვრებაა და ამიტომაც უტოპიაა.

თუ რას ნიშნავს „სოციალისტური რევოლუცია“ მის ასახნვლად ბნ ეორდანიას უნგელსის განმარტება მოჰყავს (გვ. 24), სოციალურ რევოლუციის ასეთი განმარტება, რა თქმა უნდა „ჩვენი დროის“ ფურცლებზედ სისხლის ღეარს არ აყენებს და უბრალო მკითხველის გონებასაც ნაკლებ აღლევებს. ამიტომ მან განგებ გვერდი აუხვია ნამდვილ „სოც. რევოლუციის“ მარსხანე დესპოტიურ განმარტებას, რომელსაც „მანიფესტი“ იძლევა და მთლიანად ბნი ეორდანიას ღებულაშს. ის ასეთია: პროლეტარიატის მიზანია ბრეტეაზიისადმი პოლიტიკური ხელის უფლების ძალით წართმევა, რომელიც არის, რევოლუციონურ ძალმომრეობის აქტი. „ისინი (კომუნისტები) აშკარათ აცხადებენ, რომ მათი მიზანი შეუძლება მიღწეულ იქნას, მხოლოდ ყოველგვარ ტრადიციულ სოციალურ წესწყობილებების ძალადობით გადგდებით. გაბატონებული კლასი უნდა დრტკინავდეს (ტრამბლან) კომუნისტურ რევოლუციის იდეით“-ო (კომ. მანიფესტი“ გვ. 37). რას ნიშნავს ეს? განმარტებისათვის მიემართოთ თვით მარქსისტებს: „ძალმომრეობა, მარქსსა და მის მიმდევრებს — ამბობს მარქსის მოწაფე, ფსიხოლოგიის პროფესორი ედგარ პეშში¹⁶⁾—ესმით, როგორც კოლექტიური ძალმომრეობა, რევოლუციონური ტერორი მთელი მასის მიერ და არა ინდვიდუალური ტერორი. ინდვიდუალური ტერორი დამგობილია არა მორალურ პრინციპის სახელით, არამედ ასეთი აქტებში არაფრის შემცველელი და უსარგებლოთაა მიჩნეული“. რა არის ეს თუ არა დაგაფრებელი ზოოლოგია? „რევოლუციონური ტერორი მთელი მასის მიერ“, მასიური ხოცვა-ჟლეტა, მასიური „პროლეტარული ცარცვა-გლუფვა. აი მარქსიზმი, აი რას ქადაგებს „კომ. მანი-

¹⁵⁾ „კომ. მანიფესტი“ გვ. 26, სადაც სიტყვა-სიტყვით ნათქვამია „დესპოტიური ძალმომრეობით“.

¹⁶⁾ იხ. Edgar Pech, Le marxisme გვ. 4^რ.

ფესტი“. აი, ასეთს მეთოდს ურჩევს განათლებულ კაცობრიობას „ახალ სოც. წესწყობილების“ დასამყარებლად დღეს—კომ. მანიფესტის ერთი საუკუნის გამოცემის თავზედ. მისი დაუღალავე ადვოკტი ბ-ნი ყორღანიძე.

ეთქმის რაიმე საყვედური „კომ. მანიფესტის“ მიმდევართაგან „კ. მანიფესტის“ მიმდევრებს—კომუნისტებს? ჩვენ გვგონია არა—მაშინ ეს იქმნებოდა მგელს მგელობა ვესაყვედუროთ ან და მგელს, მგელმა მგელობა უსაყვედუროს. არის თუ არა სამართლიანი „იქნურ მარქსისტთათვის“ „იქნურ“ მარქსისტა საყვედური, რომ იქ „ჯერ“ პროლეტარული სოციალიზმი არ დამყარდა? ეს იქნებოდა მარქსისტული სულ წასულობა, რადგან მარქსი ამბობს: „კაპიტალისტურ საზოგადოებასა და კომუნისტურ საზოგადოების შობის ადგილს იქებს რევოლუციონურ ტრანსფორმაციის პერიოდი—პირველის მეორეში გადასასვლელათ, სადაც სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რამე, ვიდრე რევოლუციონურ პროლეტარიატის დიქტატურა“ (K. Marx: «Critique du programme de Gotha»). ეს გადასვლის პერიოდი“ მარქსს არ განუსაზღვრავს, ის შეიძლება გრძელდებოდეს ათეული წლები ისე, როგორც რუსეთში და ამაში ბ-ნი ყორღანიძისაგან მათ საყვედური არ ეკუთვნით, როგორც მარქსიზმის ადვოკატსაგან. „ჩვენი დროში“-ს მარქსისტები დროში უნდა დააწმუნდნენ, რომ ის ვინც მარქსისტულ უტოპიურ სოციალიზმის განხორციელებას მოინდომებს ისე, როგორც რუსეთში, ის ადრე თუ გვიან დაეშობა—დაშობამდი კი ის მუდამ „რევოლუციონურ ტრანსფორმაციის პერიოდში“ დაჩრება და ბოლომდე ტერორი, შიში და ტირანია იქმნება გამეფებული.

აი მოდელი მარქსისტულ სოციალიზმის სახელმწიფოსა, ევროპის სოციალისტისათვის—და რომ ეს მოდელი თავიდან აიცილონ, ისინი არ შეიძლება რეფორმისტები არ იყვნენ. ამიტომ არიან ისინი „მორალურ ძალის“ და არა „ფიზიკურ ძალის“ პარტიზანები.

დემოკრატის ყოველთვის ჰყავდა შინა და გარეშე მტრები. მისი დაცემა და აღორძინება ხშირათ ხდებოდა ომების ნიადაგზედ. ის იღუპებოდა შინაგან უთანხმოებათა—პარტიათა და კლასთა ბრძოლის—ნიადაგზედ.

დემოკრატის შინაგანი დეფექტები მისთვის ყოველთვის უფრო საშიში იყო ვიდრე გარეშე მტრები. ინტერესთა ბრძოლა, რომელიც მოკლებულია ორგანიულ იდეას, ბადებს გეგემონიის სურვილს, აჩაღებს დემავოკიას, პარაზიტიზმს და დემოზალიზაციას. დემოკრატის დამშლის პროცესში იზრდებოდნენ ტირანია და ცუხარიზმი. ამიტომაც საჭირო დღეს დემოკრატის გაჯანსაღება და გამაგრება, რომელსაც მარქსისტულ პროლეტარიატის დიქტატორული ტირანია, ისე, როგორც

ცერბოვი, მის კარებს მოსდგომია და ყოველ წუთში დაღუპვით ემუქრება. ამიტომაც, რომ ჩვენ დღეს დემოკრატიის ამ კრიტიკულ მომენტში „საბარჩევნო ბიულეტენების“, და „ენქობიას“-ადმი ომის გამოცხადება კაცობრიობის წინაშე უდიდეს დანაშაულად მიგვაჩნია.

ტირანია და „კომუნისტური მანიფესტი“

რა არის ტირანია და ტირანია? ლარუსი ამბობს: ტირანია არის სუვერენულ ხელისუფლების უზურპრატორი, რომელიც მართავს შეუზღუდავად (კრუტე). ტირანია არის სუვერენულ ხელისუფლების უზურპრაცია, ხელისუფლების ძალადობით და უკანონოდ ხელში ჩაგდება — სწორედ ისე, როგორც „კომ. მანიფესტი“ ქადაგებს. რას გვეუბნება „კომ. მანიფესტი“?

1. პროლეტარიატის მიერ პოლიტ. ძალა-უფლებას დაპყრობა — ძალადობით დიქტატურის დამყარება, ე. ი. უმცირესობის უმრავლესობაზედ გაბატონება. ესაა ხელისუფლების უზურპრაცია, უმცირესობის უმრავლესობაზედ უსამართლოდ ბატონობა და ჩაგვრა, რომელიც არ შეიძლება იყოს სხვა რაშიც, თუ არა ტირანია.

2. „პროლეტარიატი, რომელიც არის თანამედროვე საზოგადოების ქვედა ფენა, არ შეიძლება ფეხზედ დადგეს თუ ის არ ააფეთქებს¹⁷⁾ საზოგადოების ყველა ზედა ფენებს“ (გვ. 19). „კომ. მანიფესტი“ ამ შემთხვევაში არ ინდობს არც ერთ კლასს, არც საშუალოს, არც გლეხობას, არც ინტელიგენციას და საერთოდ არავის, ვინც მარქსისტულ სოც. რევოლუციას მხარს არ უჭერს — ძინი ყველანი უნდა აფეთქდეს (სოტე). როგორ უნდა მოხდეს ეს აფეთქება? სამოქალაქო ომებით, მასაური ტერორით და შემდეგ... „რევოლუციონური ტრანსფორმაციის პერიოდში“ რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს ათეული წლები, როგორც რუსეთში — ეყვე დაკანონებულ ტერორით. ასეთი ტირანია ისტორიასაც არ ახსოვს.

3. კერძო საკუთრება? „კომ. მანიფესტი“ ქადაგებს საბოლოოდ ყოველგვარ საკუთრების — წვრილი თუ მსხვილის გაუქმებას, რადგან ისაა ბაზა ყოველგვარ თავისუფლების, ყოველგვარ აქტივობის და ყოველგვარ პაროქნულ დამოუკიდებლობის („კ. მ.“, გვ. 22-23-26) — პირველის გაუქმებასთან უქმდება მეორეც... და სხ. და სხვა.

ისტორიას ახსოვს — ათინაში პოზისტრატეს ტირანია, სამოსში — პოლიკრატის, სიცილიაში — პიერონის, რომში — კალიგულას და ნერონის და მრავალი სხვანი, მაგრამ გვითხარით, რომელი მათგანი ქადაგებდა — ისე როგორც „კომ. მანიფესტი“-ში — წინასწარ მოსაზრებელი, თეოზიაში ჩამოსხმულ ოზგანიზაციულ და ჩამოყალიბებულ

¹⁷⁾ ხაზი ყველგან ჩვენია.

ტირანისა? ანდა რომელ ტირანიის დროს, რომელ ტირანმა იმსხვერპლა იმდენი ათეული მილიონი ადამიანთა სული, როგორც ეს „კომ. მანიფესტის“ დებულებების ცხოვრებაში გატარებამ — პრ. დიქტატურამ რუსეთში? ამის შემდეგ შეიძლება თქმა იმისა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არაა დესპოტიური ტირანია?

მარქსისტულ სოციალიზმის ტირანია იქ იწყება, სადაც ის ქადაგებს პოლიტიკურ ზედისუფლების უზურპაციას, ე. ი. მის უკანონოდ, ძალადობით დაპყრობას; ტირანია იწყება იქ სადაც „კომ. მანიფესტი“ და მარქსისტები მოითხოვენ „უოველგვარ ტრადიციულ სოციალურ წესწყობილების“ უხეშ ფიზიკურ ძალით მოსპობას; ხოლო ტირანია კი მტკიცდება მაშინ, როდესაც პრ. დიქტატურა მყარდება და ტერორის საშუალებით მარქსისტული ტირანიული კანონდებლობის ცხოვრებაში გატარება ხდება.

ბ-ნი ეორდანაა სწერს, რომ „რუსულ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თავი შეაფარა აღმოსავლეთურ ტირანიას... ის უნდა დაინგრეს ხალხის რევოლიუციით, რომ პროლეტარული სოციალიზმი აღსდგეს“-ო. ბ-ნი ეორდანა აქაც წინააღმდეგობაში ვარდება, როგორც „კომ. მანიფესტის“ აღმტკიცებელი, რადგან ის — ერთი მხრივ — მარქსისტულ „პროლეტარულ სოციალიზმს“ სახელმწიფოს დანგრევას ქადაგებს რუსეთში, რომელმაც „აღმოსავლეთის ტირანია“ მოგვცა და მეორეს მხრივ იგივე „პროლეტარულ სოციალიზმს“ აღადგენას, რომელმაც კვლავ ეს ტირანია უნდა მოგვცეს. ამრიგად უნდა დავასკვნათ რომ: 1. „რუსული“ კომუნისტური „აღმოსავლეთის ტირანია“-ს თავს ვერ შეაფარებდა, რადგან აღმოსავლეთში ასეთი სახის ტირანია არ არსებობდა. 2. რუსეთში არის ახალი სახისადა ფორმის დესპოტიური მარქსისტული ტირანია, რომელიც ვერ კიდევ ისტორიაში არ არჩებულა — ის პირდაპირ „კომ. მანიფესტი“-დან გამომდინარეობს და მის საფუძველზედაა აგებული. 3. ის თუ ხალხის რევოლიუციით დაინგრა, ხალხი — იგივე „პროლეტარულ სოციალიზმს“ არ აღადგენს, რადგან პროლეტარული სოციალიზმი თავის თავით ტირანიულია, რომელიც ხალხის ინტერესებს კი არ იცავს, არამედ უმცირესობის — ერთი კლასის — მხოლოდ პროლეტარიატის (?), რომელმაც ხალხზედ ანუ უმრავლესობაზედ უნდა იბატონოს მართვა-გამგეობის უცუდეს ფორმაში.

ვ. შუბლაძე.

პარიზის მართული ეკლესია

ჭართულ ეკლესიას, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, არ აქვს პარიზში, ჩვენი ეკლესიული და საეკლესიო დიდი წარსულის ოდნავად

შესაფერი ეკლესია; არა გვაქვს შესაფერი საყდარი, არც შესაფერავ მოქაზმულობა, არც საჭირო საეკლესიო წიგნები, არც საეკლესიო გუნდი. არა გვყავდა დღემდე მის ადგილზედ ღირსებით მყოფი მღვდელი მოძღვარი.

ჩვენი ეკლესიის ასეთი უმწეო მდგომარეობა ქრისტიანული განათლებული მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ ცენტრში, არაა სასახელო ქრისტიანი ქართველი ერის და ღირსეულ „ივერიის ეკლესიისა“. რაც მთავარია, არა გვაქვს ღრმა და ფუნდამენტური რწმენა ღმერთისა და ცოდვილი ქვეყნის მხნელ იესო ქრისტესა. წაუსულწმი, ჩვენ წინაპართაგან უცხო ქვეყნებში მისიონერებად მოვლინებულნი მორწმუნე მამები — მონასტრებს აარსებდნენ და ქრისტიანული სწავლა-განათლება შემქნადათ სხვა ხალხებში. მათ მიერ დაფუძნებული ცნობილი ათონის მონასტრით დღესაც სამართლიანად ამაყობს ქართველი ერი. დღეს კი ათასობით უცხოეთში გადმოხვეწილმა ამ განათლებულმა და კულტურულმა ქართველობამ და ერის მეთაურობამ, ვერ შეეცმენით, ვერ დაეფუძნეთ ჩვენი ერთი პატარა სოფლის ეკლესიის ნიშნულზე.

ასეთ დიდ ეროვნულ ემიგრაციას არ გამოჰყვა არც ერთი სარწმუნოებრივი მამა, ღრმა ქრისტიანული, ღრმა ეროვნული შეგნებით, რომელსაც შესძლებოდა სულელი მწყემსობა გაეწია უპატრონო—ფარისავით დაფანტულ ქართველობისათვის. ჩვენ სულიერ შეგნებაში აღმართული შავი მთა დაეძრა, ქართული ეკლესია მოეწყო, ქართული საყდარი აუშენებინა, ივერიის ეკლესიის ზარით აუცოცხლებინა ჩვენში მინულებული ქრისტიანული სარწმუნოება. შშიდა ნინოს ეახს ჯვარით მონათლულთათვის ქრისტიანულ და ქართული მეობა და ღირსება აღედგინოს..

დღეს ღმერთმა მოგვივლინა მამაო ილიას სახით ახალგაზრდა მოძღვარი, ფრიად სათნო, ღრმა მორწმუნე, ღრმა შეგნების, ენერგიული, ფრიად განათლებული და განსწავლული. მიუხედავად მისი რუსული აღზრდისა, დიდი მოყვარული მისი მშობელ ერისა და ქვეყნისა.

ამ სულიერ მწყემსის გარდა რა გევაკლ და მრავალრიცხოვან ქართულ ემიგრაციას? მატერიალური საშუალება საკმაო გექონდა, საერთო ეროვნული ქონების სახით, ახლად გამოსულ ემიგრაციას. მეოთხედს საუკუნის მანძილზედ, ჩვენი ემიგრაცია ქონებრივად საკმაოდ მოლონიერდა. გვყავს მდიდარნი და შეძლებულნი კაცნი. ამ ხნის განმავლობაში მათ და საერთო ემიგრანტებს მილიონები გაუღლიათ ქართული საქმისათვის. საკმაო მატერიალური დახმარებები მიგვიღია ზოგიერთი ქრისტიანული ქვეყნების მთავრობებისაგან. საეკლესიო ქონება და სამკაულობა იმდენი გამოვიტანეთ საქართველოდან, რომ ერთ დიდ მონასტრსაც კი უნაკლოდ შეგვკობდა. ნუ თუ იმის უფლება არა გექონდა, რომ ერთი პატარა საყდრის შესამკობად რამოდენიმე სამკაულ-

ლა, — ხატი და ჯვარი, და წირვა - ლოცვის შესასრულებლათ აუცილებელი საჭირო რამოდენიმე საეკლესიო წიგნი დაგვეტოვებინა იმ ქონებიდან, რომელიც საქართველოში დაბრუნებულ იქნა?

ქართველები დაჯილდოებულნი ვართ ღვთისაგან ბუნებრივი ხმითა და სმენით. ჩვენს ემიგრაციაშიდაც მრავალნი არიან მოსიძღვრენი. არ იქნა და ვერ შეგქმენით პატარა საეკლესიო გუნდი, რომ წირვა - ლოცვის დროს პარმონიულმა ქართულმა გალობამ ღვთის სადიდებლათა და სალოცავათ აღგვაგზნოს და მიგვმართოს. ღვთისა დაკაცის წინაშე ვადღვიართ და მორცხვათა ესთქვათ, რომ ვერ შევსძლეთ, ჩვენს ბელთმყოფ საშუალებათა კეთილად გამოყენება და ვაკეთება ისეთი საჭირო პატარა საქმისა, რომელსაც საქართველოს ყოველი პატარა და ღარიბი სოფელიც კი აწყობდა. ამ დიდ ნაკლსა და ცოდვას ატარებს ქართული ემიგრაცია წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

ქრისტეს ბაგეთაგან ისმინა პირველად ცოდვილმა კაცობრიობამ „ვით მამა ჴეცის იყავ შენც სრული“-ო. ეს ნიშნავს ადამიანის პიროვნების თავისუფლების ღირსებისა და მისი სრულყოფობის აღიარებას. ეს არის წყარო თვით ეროვნული თავისუფლებისა — ღირსებისა და სრულყოფობის იდეა, რომლის დათრგუნვამ წარმოშვა ქართული ემიგრაცია, და რომლის მიზანია ამ დათრგუნვილ პიროვნებისა და ერის განთავისუფლება.

„სჯობს გვიან ვინემ არასოდეს“. ჩვენი ეკლესიის საქმე ემიგრაციის საერთო მზრუნველობის საგნად უნდა გადაიქცეს. ყოველმა ჩვენთაგანმა მორალური და მატერიალური დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენი ეკლესიის მოძღვარსა და საბჭოს, რომ შევსძლოთ ქართული ეკლესიის ღარიბულ დონეზედ დაყენება და ამით ამ კულტურული და ქრისტიანი დიდი ფრანგის ერის დედა - ქალაქში — ჩვენის ღირსებით ვიქნეთ წარმოდგენილნი.

ე. პ.

ქართული ხელოვნების უსხოეთში

ქართული ნიჭი, მშობლიური მიწის მოშორებულნი!

ქართველი ხელოვანები: მუსიკოსები, მხატვრები, მოცეკვავები, მსახიობები, უცხოეთში დაბადებულნი ან ახალგაზრდობაში გადმოხვეწილნი.

რიცხვით მცირე ქართული ემიგრაცია, მდიდარი კულტურული ძალებით, ემიგრაცია საკმარისათ ვერ აფასებს მათ. უცხოელი პრესა კი ძლიერ ზშირად ქება - დიდებით იხსენიებს მათ.

ამ წერილის მიზანი არ არის შეცავება მათი ნიჭისა და შემოქმე-

დების. მხოლოდ, აღნიშვნა მათი პიროვნებათა და მოღვაწეობის დარგთა.

ქართულმა ნიქმა განსაკუთრებით მუსიკაში პოეზია იტანება:

უღროთ დაკარგული კომპოზიტორი ირა ჯაბადარი. ხანმოკლე სიცოცხლეში შაინც შესძლო დაეტოვებინა ღირსეული ნაწარმოებანში კომპოზიციებში მთავარ ხაზთ გავლებულია ქართული ხალხური მუსიკის პანეები. მისი ძმის ილ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით პარიზის საზოგადოებამ ჩამდენჯერმე მოისმინა მისი კომპოზიციები და მუდამ დღეს მთავარ როლებს ასრულებს ფრანგ დიდ მსახიობებთან ერთად.

პირველი ქართველი პიანისტი, რომელმაც მისცა საჯარო კონცერტები — ირაკლი ოზბელიანი. მასვე ეუთუნის ჩამდენიმე ქართული რომანსი დაწერილი შ. ამირაჯიბის და ს. ბერეჟიანის სიტყვებზე. ამ ემად ნიუორკში მოღვაწეობს, სადაც დაარსა საკუთარი მუსიკალური სკოლა.

ორი დიდი პიანისტი გ. ჭავჭავაძე და ნ. შალალაშვილი; სახელი მათი ცნობილია მსოფლიოს დიდ სატაბტო ქალაქებში.

ორი ახალგაზრდა ქალიშვილი ე. რუხაძე და თ. კედეა; პარიზის კონსერვატორიის ყოფილი მოსწავლენი. ნიჭით აღსავსენი, მრავალ იმედებს რომ იძლევიან.

მომღერალი გ. კობალაძე, რომლის ძლიერი ხმა, უსათუოდ თავის გზას გაიკვლევს.

ახალგაზრდა დირიჟორი რ. ჟორდანიანი ნიჭით დაჯილდოებული.

ბალეტის მოღვაწენი: ხორეოგრაფი გ. ბალანჩინი (კომპოზიტორ ბალანჩინიძის ვაჟი) რომლის სახელი, მსოფლიოშია ცნობილი. წაშლულ სეზონში, პარიზის დიდმა ოპერამ მოიწვია. დასდგა საკუთარი ნაწარმოებნი. არტისტულმა უცხოელმა პრესამ აღნიშნა მისი ნიჭი და ჭება-დიდება მიუძღვნა

ეთერი ფალავა, ბალეტის ახალგაზრდა ვარსკვლავი; ემიგრაციაში დაბადებული, ხუთი წლიდან უკვე ცნობილი ბალერინა და დღეს მონტე-კარლოს ბალეტის პირველი მოცეკვეე. ამ ემად 16-17 წლის, უკვე სახელ განთქმული.

მეორე დიდი მოცეკვეე—თამარა თუმანიშვილი, რომლის სახელი დიდი ხანია ცნობილი საერთაშორისო ბალეტში. შარშან პარიზის დიდ ოპერაში ბრწყინვალეთ ჩაატარა ბალეტის სეზონი.

აღნიშნით აგრეთვე ქართული ცეკვის ოსტატები: შ. აბაშიძე, ს. კობაიძე, შ. სტურუა, და ი. პეტრიაშვილი. პარიზის ქართველობა ხშირად დამტკბარა მათი მოხდენილი ცეკვით. მათვე შეასწავლეს პარიზში ყოფი ქართველ ახალგაზრდებს ქართული ცეკვები. იმედი უნ-

და ვიქონიოთ, მათ მოწაფეთა შორის გამოვლენ მომავალში ცნობილი მოცუკეავენი.

ქართული მხატვრები: უდროოდ გარდაცვლილი მ. ბილანიშვილი, ნიჭური ახალგაზრდა; ვერ მოასწრო თვის ნიჭის გაფურჩქვნა.

ფ. ვარლამიშვილი, მეძნობიერს მხატვარი, ნიჭით და მრავალფეროვნებით დაჯილდოვებული.

მხატვარი ქალები: ვერა ფაღავა თავის ორიგინალური მხატვრული სტილით. ქეთო ბარნოვი მისა მომხიბლავი ქართული სიუჟეტებით.

მერიკო (მერი ალიხანაშვილი) მსახიობი ქალა, ფრანგულ სცენაზე მოთამაშე. თავის ბავშვდროვანი ხმით, უაღრესად ნიჭიერი.

ალსანიშნავია აგრეთვე ქართულ სცენისმოყვარეთა წრე პარიზში.

აი ჩვენი პატარა ემიგრაციის არტისტული ძალები. როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის მრავალია, რომელთა სახელი მსოფლიოშია განთქმული, რომელთაც ყოველ დიდ ერს შეუძლია იამაყოს.

მაგრამ სამწუხარო ის არის რომ, ჩვენმა ემიგრაციამ სრულებით ვერ შესძლო გამოეყენებია ეს კულტურული ძალები ჩვენი ურის ეროვნული კულტურის უცხოეთში საპროპაგანდოთ.

ჩუ დაგვაეციყვდება: პოლონელმა პადრეუქსიმ და შოპენმა, უნგრელმა ლისტმა, უფრო მეტი გააკეთეს თავის დროზე, მათ დამონებულ ერის სასარგებლოთ, ვინემ ათასობით დაგროვილმა პოლიტიკოსებმა. დროარის ყურადღება მიექცეს ამ აუცალკებელ საქმეს საქმეს. გამოვიყენოთ ჩვენი საკეთარი ძალები ჩვენი ეროვნული კულტურის საპროპაგანდოთ უცხოეთში.

ლ. 6.

ილისე პატარიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა

1924 წლის აგანანების 25 წლის თავზე

1924 წლის 29 აგვისტოს მომხდარი ქართველი ერის ერთობლივი აჯანყება, ერთ-ერთი ისტორიული აქტია ძველ თაობათა სისხლით დაწერილი „ქართლის ცხოვრები“-ს ახალ ფურცელზე ჩვენი თაობათა ქართული სისხლითვე ჩაწერილი. ეს ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების გამოსახულებაა; თავისუფლებისათვის მებრძოლი მთლიანი ქართველობის უტეხი ნებისყოფის გამოჩინებაა, და ჩვენი ერისათვის თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენის უდაო საწინდარია.

28 აგვისტოს აჯანყება ქართველთა საუკუნოებრივი ბრძოლის გზაზედ ერთი ძლიერი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ გადადგმული. თი-

თქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ქართველს სისხლი არ დაედგარა მისი ეროვნული ინტერესებისათვის.

1924 წლის აჯანყებას წინ უსწრობდა 1921 წლის სენატიისა და 1922 წლის ბეესურეთის აჯანყებანი და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში პარტიზანული ბრძოლები, ისევე როგორც 1830 წლის ქართველთა დიდ შეთქმულებას. — 1802 წლის კახეთის, 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის ისევ კახეთის და 1820 წლის იმერეთის აჯანყებები.

ამბოხებით, ბრძოლითა და იარაღით შეხვდნენ ჩვენი სახელგანთ მამა - პაპანი ჩვენი ერის დასაპყრობლად საქართველოში შემოჭრილს რუსეთის შავს ორთაფიან არწიეს და ისევე შევხვდით ჩვენც, მათი შვილნი, ჩვენს ქვეყანაში ხელახლად შემოჭრილ რუსეთის წითელ ოთრთაფიან არწიეს. **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფალი არსებობა, ჩვენი ისტორიული უზენაესი და ხელშეუხებელი წმიდა უფლებაა.** და ამ წართმეული უფლების კვლავ მოსაპოვებლად აჯანყება და ბრძოლა ჩვენი უწყმიდესი მოვალეობაა და უზენაესი უფლებაც. უბრალოდ — სისხლის დაუღვრელად ვერც ერთ ერს თავისუფალი არსებობა ვერ შეუძარჩენებია და დაქარცხული სუვერენობა ვერ მოუპოვებია.

მოვიგონოთ სამი ძლიერი იმპერიას შორის განაწილებული და განაწილები პოლონეთის ერის სისხლიანი ბრძოლები თავისუფლებისათვის. დღეს ჩვენი მტრის მიერ ბოჰკილებ დადებულიც ვერ ასცდება მისი ტრადიციული აჯანყებებისა და ბრძოლის გზას, რომლითაც ის ერთხელ კიდევ მიაღწევს და მოიპოვებს ეროვნულ თავისუფლებას.

დაჩაგრულ ერთა მოწინავე რიგებში მას თავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი ირლანდიელები, რომელთა სისხლიან მოძრაობას დიდის ყურადღებით ეკიდებოდა ჩვენი ეროვნული აღორძინების მეთაური დიდი ილია. ეროვნულ განმანათავისუფლებელი ბრძოლის კლასიკურ მაგალითებს აძლევს დაპყრობილ ერებს: მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე აჯანყება - აჯანყებას მოსდევდა — მეტის სიცხოველით და მეტის სიმამაცით. მეთექვსმეტე საუკუნის მომხდარ სამ აჯანყებას ექვსასი ათასი (600.000) ირლანდელი შეეწირა. მეთერამეტე საუკუნის შუის ჩასვლისას, სახელდობრ 1798 წელს, ირლანდია კვლავ გლეხთა ამბოხებას აწყობს. მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში აჯანყებას - აჯანყება მოსდევს — ახალგაზრდა ირლანდიელთა ორგანიზაციის მეთაურობით. მისი ჩაქრობის შემდეგ, 1848 წელში კვლავ ნაწოლობრივ — აჯანყებას ახდენენ. მას მოსდევს 1858 წლის დიდი ეროვნული შეთქმულობა, რომლის მიერ მოწყობილ აჯანყებათა მთელი რიგი, რამოდენიმე წელიწადი გრძელდებ; 1865 და 67 წლის ამბოხე-

ხანი დროებით ხანგრძლივად ხუჭავენ, ირლანდიელთა სამი გრძელი საუკუნის მანძილზედ მოწყობილ აჯანყებათა ციკლს.

ყველა აჯანყებები ჩაჭრობილი იქნა. არც ერთ მათგანს უშუალოთ ეროვნული თავისუფლება არ მოუპოვებია, მაგრამ ამ ამბოხებებმა მთლიანად ირლანდიის ეროვნულ მეობას მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოში შარავანდელით მოცული სუვერენობის გვირგვინი ამაყ შუბლზედ დაადგა.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი მავალით მოგვეყვანა სხვა დამყრობილი ერების განმანთავისუფლებელ ბძოლებიდან, მაგრამ ეს შორს წაგვეყვანდა და ისე 1924 წლის აჯანყებას დაუბრუნდეთ: მოსკოვი და მისი მორჩილი საოკუპაციო ხელისუფლება თავის დროზე ამ დიდი ეროვნული მამულიშვილური ამბოხების გამახების მიზნით შეეცადნენ ეს აჯანყება კონტრ-რევოლუციონერი გამოსვლად მოენათლად, ან მენშევიკური პარტიის პოლიტიკურ ბრძოლათ ვეცადებოდათ, ან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილათ მიეჩნიათ, ხან თავად-აზნაურობას მიაკუთვნეს, ხან მღვდლებსა და ხუცებს. უკანასკნელს იმით ასაბუთებდნენ, რომ აჯანყებულთა შტაბი შიო-მღვიმის მონასტერში იყო მოთავსებული. მაგრამ ამით სინამდვილე ვერ დაჰფარეს. აჯანყება მთლიან ჯართველი ხალხის სპონტანიური და განწირულ სულისკვეთების შედეგად აღმოხეთქა იყო, მისი ეროვნული მეობისა და მისგან წართმეული და რუსის ტყვეობაში მყოფი სუვერენობის განსათავისუფლებლად. მისი განცებ უღარავოდ გამოშწევი თვით საოკუპაციო ხელისუფლება იყო საქართველოში, მათ მიერ ატყანელი და სულის შემუთავი საბჭოთა რეჟიმის დამყარებით. შეუძლებელი იყო აჯანყებას ფლკანისებულად არ აღმოხეთქა. ქართული პოლიტიკური პარტიების დანიშნულება და ცდა ამ აუცილებელი ამბოხების ეროვნულ-პოლიტიკურ კალაპოტში ჩაყენება და მისი ხელმძღვანელობა იყო. რამდენად შესარულეს ეს მათი დანიშნულება ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ამახედ პასუხის გაცემა ჩვენს თაობას არ ეკუთვნის, ეს მომავალი ისტორიკოსის როლია და მათ აზრსა და დაფასებას მომავალი თაობები ისტორიკოსი ამოკითხავენ. ჩვენ კი მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელნიც ძმურად — ხელი-ხელთ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული სუვერენობის აღსადგენად, პირნათლად შესარულეს მათი ქართული სამღეთო მოვალეობა.

აჯანყებულთა შტაბისა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობის შიო-მღვიმის მონასტერში მისვლა იყო ქართული ტრადიციული და იმავე დროს სიმბოლურიც; იქ მადიოდა დავით აღმაშენებელი ლაშქრობის წინ მისი იარაღის საკურთხებლათ და მეფის ანდერძის დასაწყობათ; იქვე მივიდა საქართველოს ტახტის უკანასკნელი შემკვიდრე დავით

ბატონი შვილიც, რომ ღეთისა და ქრისტეს წინ ემზადებანა ქრისტიან რუსების უსჯულოთ მოპყრობა ქართველობისადმი და სამშობლოს დეტოვების წინ, მისი თოფი მომავალი თაობისათვის ვადსაკცმათ ქრისტესათვის ჩაებარებინა.

ავვისტოს ამბოხების შესახებ ამ 25 წლის მანძილზე ჩვენს პერიოდულს გამოცემებში საკმაოდ დაგვიწერია. აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა ჩვენი მიმართულების წარმომადგენელმა იასონ ჯავახიშვილმა, მტრის უზენაეს სასამართლოს წინაშე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში, აჯანყების მიზნისა და მისი მოწყობის შესახებ ჩვენი აზრი მთელის სისრულით გამოსთქვა. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა უთუოდ დაამწვენებს ჩვენი ურის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ 25 წლის შემდეგაც ისევე ვაფასებთ 24 წლის აჯანყებას, როგორც თვით აჯანყების პერიოდში. ქართველი ერის არც 19 საუკუნის აჯანყებებს, და არც 1924 წლის აჯანყებას ჩვენი ერის თავისუფლება უშუალოდ არ მოპყროლია. ავვისტოს ამბოხება არც პირველი იყო ჩვენი ურის ბრძოლის ისტორიაში და არც უკანასკნელი იქნება. ყოველი წაგებული და დამარცხებული ომი თუ აჯანყება გაიკატულება და უშედეგოთ მიჩნეული. ასეთი იყო და ასეთია ქართველთა აჯანყების ბედიც. მათი ღირებულება და სიღირსე მხოლოდ მაშინ გამოაშუქებს, როცა მათის წყალობით შენახული და გაძლიერებული ეროვნული სული და წევრება სუვერენობას მოიპოვებს და მის ეროვნულ მეობას აღადგენს.

„რამდე ირლანდია დაპყრობილია — ამბობდა ირლანდიელი სეპარატისტების ერთ-ერთი მეთაური — ის მუდამ აჯანყებულ იქნება და ჩვენ ამით ვამყობთ, რადგან დაპყრობილის დამპყრობელისადმი ლოიალობა და მეგობრობა — გაბრწყინებაა“ —ო. ეს ეროვნულ მორალადან გამოსული აზრი თუ დებულება, ქართველი ერის სულიერ განწყობილებასაც გამოსახავს. ჩვენც მუდამ აჯანყებულ ვიქნებით მანამდე, სანამდე ეროვნულ თავისუფლებას არ მოვიპოვებთ და დამპყრობელთან დამეგობრებას დასაძრახისათ და ღალატად მივიჩნევთ. რამდენად დამამცირობელია ჩვენი ეროვნული შოებისათვის, ის უმსგავსა სანამდე ილე, რომ ავვისტოს აჯანყების 25 წლის თავზე აჯანყებულთა ძელებზედ დადიან აჯანყების მთავარსაზრდალი და დამფუძნებელი კრებისა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და ერთი თვალსაჩინო წევრი — მტერთან შერიგებული.

1924 წლის აჯანყების 25 წლის თავის აღსანიშნავად საკმარისი არ არის მხოლოდ ამ კრების მოწყობა. დიდი ომის დასაწყისიდან ქართულ ეროვნულსა და პოლიტიკურ ემიგრაციას აღარა ყავს ეროვნული ცენტრი, განმანათლებლებელი მოძრაობის ზღვამდევნელი, დაბოცილ აჯანყებულთ ჩვენ ამაზე უდიდეს და ძვირფას ძეგლს ვერ დაუდგამთ.

ამ ძველის აგებას ისე ვერა შევსძლებთ, თუ აჯანყებულთა მთლიანობის მაღალ სულიერ განცდებს ვერ დაუბრუნდით. ქართული თეთრი ფიქალი ქვიდვან უნდა გამოიკეთოს ეს ძველი, ისე რომ მას მოქანდაკის ხელის მტვერი არ დააჩნდეს. აი ჩვენი ასეთი სულიერი განცდებიდან გამოდის ჩვენი უაღრესი პატივისცემა და მადლობის ცრმობები აჯანყებაში თავდადებულ რამოდენიმე ათასი მამულიშვილისადმი და თან ჩვენი უტეხი რწმენა ქართველ ერის ბრწყინვალე მომავლისადმი.

იასონ ჯავახიშვილმა უზენაესი ტრიბუნალის წინაშე თავისი სიტყვა ერთი არაბული ლეგენდით დაამთავრა:

„მზემ აღარ გამოანათა და დაიკაჲვა“.

სიბნელეს ვერ შეტრიაგდა ერთი ჩიტო, რომელმაც მიზნით დაისახა ქვეყნიერებისათვის მზე დაებრუნებინა. ამ მიზნით მან დაიწყო ფრენა ზევით, სულ ზევით და მიავსო მზეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვეყნიერებას... თითონ ჩიტო კიდაილუბა... ის დაიწვა მზის სხივებში.

ვინ დასთვლის რამდენი ასეთი ჩიტო დაიწვა ან კიდევ დაიწვება საქართველოდან განშორებულ ოაგისუფლების მზის სხივებში.

გვრწამდეს, რომ მზე ისევ დაგვიბრუნდება.

რ ა კ ა ტ ი ა !

ქართველ ერის მიწა - წყალი
 ია - ეარდის წალკოტია,
 დიდებულთ და ლამაზების
 კოშკ - ტაძარი დარბაზია.
 ვინც, რომ იმას არა ჰყვარობს
 ცხოვრებაში რა კაცია!

უცხო მხარე ვერ ეღრება
 კეკლუცი და მალხაზია,
 უძველესი დროიდანვე
 ფარ - ხმალი არ დაუყრია.
 ვინც, რომ იმას პატივს არ სცემს
 ცხოვრებაში რა კაცია!

დიდი ხნიდან იტანჯება,
 მტერს ბევრჯერ გზა აუბნია,
 საყვარელი ყაჩა და შვილი

წვით და დაგვით გაღზრდია.
ვინც, რომ დღესაც არ დაიკავს
ცხოვრებაში რა კაცია!

დ. ქიმერიძე.

ს ა მ შ ო ზ ლ ო

ვხედავ სამშობლოს მორთულს თალხებით,
იქ, ყვაილენი სულ გადამქანარა,
ერთ ოკეანეს მძლავრ ტალღები
ცაზე ღრუბლები გარბიან ჩქარა.

დამშრალა წყარო არ ჰქრის ნიაეი,
აქა - იქ ტყეში, გასძახის ჰოტი,
თითქოს მას ჯოჯო ორ, თავიანი,
დაუფლებია ძალით ბოროტი.

დიდი ხანია მოწყენილი ხარ,
შავ ბედისწერას ვერ გადაურჩი;
დღეს წამებულთა საკანში ზიხარ
ოღესლაც მცირე აზრის ბურჯი.

ნეტავ შემძლოს ვესჯოლო ტყვია
მას, ვინც წაბილწა წინაპართ ბუდე;
სამშობლოს გზასაც გადაუხვია
და კვლავ აღმართა ჩვენ შორის ზღუდე.

რამდენათ მე დღეს შორით ვიკტერი,
იმდენად უფრო მიყვარბარ ისევ;
მე სხვაგან ვერსად ვიპოვე ჰერი,
ვერც სხვა ჰეყვანას ვერ შევეთვისე.

თუ დედამიწა ქაოსში სცურავს,
ჯერ სიმართლის ხმას არ იყვირობა;
შენ უკვდავების ხომ ქუდი გხურავს
და უარესიც გამოგივლია.

შენი ფესვები ისე შორს მადის
სასხლიც გამაგრებს დეთის ნაკურთხევი,

გამძლეობა გაქვს უძველეს მითის,
 იალბუზივით დგასარ ურყევი.

ამიტომ გრწამდეს, უთ ანგელოზი
 ამ ბურუსიდან ცხლაც გამოხვალ;
 და ერთა წმინდა სამლოცველზე,
 გამაჩრგვებულთა გვირგვინით ახვალ.

ვე. აბულაძე

25 ა ბ ვ ი ს ტ ო ს

ქართველი ერი; სულით მაღალი,
 გულკეთილ - უბვი და თავდაბალი,
 ვმირი, მრისხანე, ღვთისთ შესწევს ძალი,
 აწ ვის უნახავს ქვეყნათ მის ცალი.
 თავისუფლება ავიღეთ ხელში;
 მტერმა დაგვიპყრო კელავ დაფრჩით ბნელში,
 და ათას ტზრასს ოცდა ოთხ წელში
 მტერს აუჯანყდით ღიდ განსაცდელში.
 წაუგეთ ბრძოლა, დაგვენშო დილა,
 მსხვერპლად მრავალი სისხლი დაღვრილა,
 მაგრამ ბრძოლა კი არ შეწყვეტილა,
 ვერცერთ მტერმა ვერ დაგვიმორჩილა.
 ვულს ვერ გაგვიტებს საკანში წოლა,
 ციმბირი, ლტოლვა, დაბერება, სჩოლა,
 გამაჩრგვებამდის მუღმივი ბრძოლა
 სჯობს სულ არ ყოფნა, ვიდრე მტრის ყოლა.
 ოცდა ხუთ წელსა ეს დღე გვისრულებს
 გვაგონებს ჯანყსა, ტანჯვებსა, წელსულებს
 და საშობლობათვის ვმირით დაღუპულებს
 სსოენა, ცხონება, უძღვნათ მათ სულებს.
 ერთი ქართველი უბრძვის ას მტერსა,
 იცავს მამულსა, მის კერას, ქერსა,
 ეაშა! დიდება! გმირ დიად ტრსა,
 და გამაჩრგვება მის შკლავს და მკერდას,

მოწოდება ქართველი ახალგაზრდობისადმი

სოწოზი მყოფ ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი, რომელნიც მეორე ტომის დროს მოეხდით „რკინის ფარდის“ აქტით მხარეს და ვიგრძენით თავისუფლების სიო, მყისვე ჩადექით სამშობლოსათვის მებრძოლთა რიგებში.

მამა - პაპათაგან ერთხელ მღელა აწეულ თავისუფლების დროშას ირასოდეს ძირს აღარ დაეხრით, არ შეეაჩხვინთ ჩვენ წინაპართ, მათგან სისხლით მოკირწყლულ მიწა - წყალს ჩვენც ჩვენივე სისხლით დავიცავთ. არცერთი ქვეყნის ისტორიაში გამარჯვება უბრძოლველად, უსისხლოდ არ ყოფილა მოპოვებული; მით უმეტეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლებით არის სავსე. არც დღეს გვიეწივებს ჩვენი უკუღმართი ბედი. მომავალშიაც მხოლოდ ბრძოლა გვპირდება გამარჯვებას. ბრძოლა ჩვენ არ გვაშინებს, ეს ჩვენ დავამტკიცეთ რამოდენიმე წლის წინეთ, როდესაც ჩვენს უფროს თავიანთთან ერთად, იარაღით ხელში, მივადექით ძვირფას სამშობლოს კარებს. მაგრამ ბედმა ერთხელ კიდევ გვიმტყუნა და დავემაჩხვინა. ეს დამარცხება დროებითია, ჩვენ არც ვუღი გავგეტყვია და არც იარაღი დავგიყრია; ბრძოლას განეაგრძობთ სრულ გამარჯვებამდე. ამ მიზნით, გვეცანით რა ერთგულ - დემოკრატიულ პარტიის იღვებს, მის - წარსულს და აწმყოს, რომელიც მუდამ უწყევად იბრძოდა და იბრძვის ერთგულ თავისუფლების აღდგენისათვის, სოწოს ქართველი ახალგაზრდობა ვირაშმებით შემოხსენებულ პარტიის რიგებში, რომელიც გავვიძღვება ქართველი ერის სამყეროვანი დროშით სამშობლოს გასანთავისუფლებლათ, როდესაც ამის ფაში დაჰკრავს. — მოუწოდებთ ქართველ ახალგაზრდობას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, შემოგვიერთდეს და ჩვენთან ერთად ჩასდგეს ურთუნულ - დემოკრატიულ პარტიის რიგებში, რათა ერთსულოვნათ ესწიოთ „ქაპანი ჩვენი“ სამშობლოს სრულს თავისუფლების მოპოვებამდე და შემდეგ მისი განმტკიცებისათვის.

საქართ. ეროვ.-დემოკრ. პარტიის სოწოს ორგანიზაციის
ახალგაზრდობისაგან.

ხელს აწერს 15 კაცი.

=====

ცნობები მთიბრანტულ ცნობკაშიდან

ავვისტოს აჯანუების 25-ი წლის თავი

ამა წლის 28 აგვისტოს „ალიანს ფრანსიზ“-ის დიდ დარბაზში ქართული კოლონიის გამეცობის მეთაურობით გაიმართა საზოგადო კრე-

ბა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 25 წლის აღსანიშნავად. საზოგადოებამ ვებზედგომითა და სირუმით მოიგონა დაღუპულ აჯანყებულთა სულელები. სიტყვები წარმოსთქვეს: კოლონიის თავმჯდომარე ბ. ლევ-ზურაბაშვილმა; პოლიტიკურ პარტიასა წარმომადგენლებმა: ბ.ბ. კალ. ჭავთარაძემ, ბლაიძემ, ფ. შაჩაძემ, ელ. პატარიძემ, აკ. ჩხენკელმა, კ. გვარჯალაძემ, რ. აჩსენიძემ და ლ. ტიტენიძემ. საკუთარი ლექსი წაი-იკთა ბ. გ. ყიფიანმა. ორატორებმა მოიგონეს აჯანყების ისტორია და დადებითად დააფასეს იგი, როგორც საქათველოს თავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების ერთ-ერთი დიდი აქტი.



პარიზის უნივერსიტეტთან ქართული ენის კათედრის დაარსებისათვის

ბ. ი. კემულარიას თაოსნობით შესდგა პარიზის უნივერსიტეტთან ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებისათვის საინიციატივო კომიტეტი, რომელშიაც შედის 37 ქართველი და ფრანგი პროფესორი - მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე.

ბ-მა კემულარიამ კომიტეტის სახელით მოწოდებით მიმართა მსოფლიოში გამოჩენილ ენათ-მეცნიერთ, რომელთაგან მან ამ ინიციატივის დადებითი დაფასება და მორალური დახმარების აღთქმა მიიღო.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ბ-ნი კემულარია და საინიციატივო კომიტეტი ენერგიულად მოაკიდებენ ხელს მათ მიერ წამოწყებულ საქმეს და ქართული და უცხო საზოგადოების დახმარებით საფუძველს ჩაუდებენ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას პარიზის უნივერსიტეტან.



ქართული ენის კათედრა იტალიაში

1936 წ. ნოემბერში ნეაპოლის «Istituto Orientale»-ში, მისი მთავარი დირექტორისა და დებუტატის გრაფ ბუჩინაძელს ბარბულონის ინიციატივით, დაარსდა ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა. (გრაფი ბარბულონმა, როგორც ორიენტალისტმა და კავკასიის არქეოლოგიურ ნაშთთა მკვლევარმა, იმოგზაურა საქართველოში — კავკასიაში 1933 - 34 წლებში).

კათედრამ 1936 წ. 1943 წლამდე იარსება. ქართული ენისა და ლიტერატურის კურსებს ესწრებოდა ოცამდე სტუდენტი, ფრიად დაინტერესებულნი განსაკუთრებით რუსთველის შესწავლით. ერთმა მათგანმა საკონკურსოდ დაწერილი შრომისათვის („რუსთველი და მისი ეპოქა“) მიიღო ინსტიტუტის ჯილდო.

ამ ინსტიტუტში ლექტორად მოწვეულა იყო ჩვენს თანამემამულე

ბ. შ. ბერიძე, რომელიც ამ ქართულ საჭმეს დიდს ყურადღებით ეყიღება.

გრაფ ბერნარდო ბარბიელინის გარდაცვალების შემდეგ, უსახსრობის გამო დაიხურა ეს კათედრა, ისევე როგორც სომხური, უკრაინული, ესტონიური, შვეიცარიული და ფინური ენის კათედრები.

ამ კათედრის აღდგენა ქართულის თვალაზრისით ფრიად საჭიროა. ამ საჭმისათვის ზრუნვა და ინიციატივა იტალიაში მყოფ ქართულ კულტურულ პიროვნებებსა და განსაკუთრებით ბბ. თაჩხნიშვილსა და ბერიძეს ეკუთვნით; ქართულ საზოგადოების მოვალეობაა მათადმი დახმარება.

~~~~~

### ქართული წარმოდგენა

შაბათს, 7 იანვარს ი ე ნ ა ხ დარბაზში წარმოდგენილი იქნება ირ. ხალდასტანიშვილის ხელმძღვანელობით, ისტორიული 5 მოქმედებიანი დრამა გ. ერისთავის „სამშობლო“. შემოსავალი გადადებული იქნება ესო ბარკალიას ნეშთის გადმოსასვენებლად ლევილში.

~~~~~

ამა წლის 5 დეკემბერს, პარიზში გარდაიცვალა ქ-ნი ნ. რუსია.

„ივერი“-ის რედაქცია უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის მეუღლეს ბ. მელ. რუსიას.

~~~~~

ამა წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, პარიზში გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ — განსვენებული ნ. რამიშვილის უნცროსი ქალიშვილი თამარი.

„ივერი“-ის რედაქცია უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს მის ქორისუფლებს.

~~~~~

მინდია ლაშაურის მოხსენება

1949 წლის აგვისტოს 20-ს მიუნჰენის ესტონელთა კომიტეტის დარბაზში ბ. მინდია ლაშაურმა წაიკითხა ერთი თაურთ „ქართული ხული“, მისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი შრომიდან: „მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურის წინასწარმეტყველური აზრები“.

ამ მოხსენებით მიუნჰენის ქართულ კოლონიასთან საფუძველი ჩაეყარა კულტურულ სექციას, რომლის ერთი-ერთი ინიციატორთაგანია არის უზუცევი წევრი ჩვენი სექციისა ბ. დავით ვაჩნაძე.

დასაბეჭდი მასალები უნდა გადმოგიზავნოს რედაქციის მდივანთან:

V. CHOUBLADZE 35, rue du Banquier, Paris (13).

